საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბოქდ-ვუტი სიფფუაა, ფფუიოებით და ჭოტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 2 ივნისი. 2016 წ. №100 (7992), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

დირექტორობას ჩაბღაუჭებული დემაგოგიის დიდოსტატის გვარამია მორიგი დივერსია

„ცრუსთავი-2“, თავის მიკერძოებულ ეგრეთ წოდებულ მხარდამჭერებთან ერთად, ერთ-ერთ მთავარ ბრალდებად იმას უყენებს „ოცნებას“, სამართლიანობა ვერ აღადგინაო, და თან თავს საძვეყნოდ თაღლითურად იგიჟიანებს, როგორ შეიძლება ჩვენი ტელევიზია ვიღაც ვითომ კანონიერ მეპატრონეს დაუბრუნდესო, და ყოველივე ამ აშკარა ცრუძაძუნობას იმით ამართლებს, ამჟამად უკვე სახელგატეხილ „ოცნებას“ უნდა, რომ წინასაარჩევნოდ ჩვენი კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკა შეცვალოსო, რაც გულუბრყვილო მაყურებლისთვის თვალებში ცხელი ნაცრის შეყრაა!

არადა ლაპარაკია მხოლოდ მესაკუთრეთა შეცვლაზე. აქ სარედაქციო პოლიტიკა არაფერ შუაშია, მით უმეტეს, რომ, როგორც კანონიერი მესაკუთრე აცხადებს, მთელი კოლექტივი ხელუხლებელი რჩება.

უშუალოდ ძებნილი სააკაშვილისაგან დანიშნულმა „რუსთავი-2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ, რასაკვირველია, მხოლოდ და მხოლოდ საძმის გაჭიანურების მიზნით, მორიგი სკანდალური განცხადება გააკეთა, რომლის მიხედვითაც სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიის ერთ-ერთი წევრი ნათია გუჯაბიძე ვითომ თაღლითობაშია შემჩნეული. მთავარი პროკურატურისთვის ეს ცნობილია და სავარაუდოდ, ვითომ მის მიმართ მიმდინარეობს დევნა და ზეწოლა.

რაც წერია ვენეციის კომისიის რეკომენდაციებში, გათვალისწინებულია ჩვენს ვეტოში!..

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი „საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ“ კანონპროექტისთვის ვეტოს დადების მიზეზებს განმარტავს.

„ახლა მზადდება ჩვენი მხრიდან ამ საკითხზე უფრო დეტალური ანგარიში. ჟურნალისტებს მოგეცემათ შესაძლებლობა, ზუსტად ნახოთ, რომ სიტყვასიტყვით ის, რაც წერია ვენეციის კომისიის რეკომენდაციებში გათვალისწინებულია ჩვენს ვეტოში. ხშირად არის, რომ ერევათ ხოლმე „თავისი“ მოსაზრებები ვენეციის კომისიის მოსაზრებებში. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ყველას მოსაზრებები მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ამოსავალი წერტილი მოლაპარაკებებში მმართველ უმრავლესობასთან იყო სწორედ ვენეციის კომისიის დოკუმენტი. ეს იყო ის დოკუმენტი, რომლის ირგვლივაც ჩვენ ვსაუბრობდით. გასაგებია, რომ ზოგ შემთხვევაში სურვილები რომელიღაცა ექსპერტების და ვენეციის კომისიის არ ემთხვეოდეს ერთმანეთს, მაგრამ ჩვენთვის ამოსავალი იყო ვენეციის კომისიის დოკუმენტი“, — აცხადებს გიორგი მარგველაშვილი.

* * *

საქართველოს პარლამენტში რიგგარეშე სხდომები გაიმართება. როგორც პარლამენტის პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა გუშინ განაცხადა, რიგგარეშე სხდომები 3-4 ივნისს გაიმართება. სხვადასხვა საკითხებთან ერთად რიგგარეშე სხდომაზე „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონთან დაკავშირებით, პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები უნდა განიხილონ.

კარტ-ბლანში. საქართველო: ნატო ალტერნატივის გარეშე

8

გივი ჯახუა: ნაცებს საკუთარი ბოღმა ახრჩობთ!

3

როინ მეტრეველი: შვიდ სამეფოდ განწესებული

6

„რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია“

ამირან რევიშვილმა სიკვდილზე გაიმარჯვა

5

ნოდარ ბარამიძე - გამორჩეული ფსიქოლოგი და ადამიანი

7

რუხში სასათბურე მეურნეობა გაიხსნა

გუშინ, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივითა და იაპონიის მთავრობის პროგრამის „GRASSROOT“ ფინანსური მხარდაჭერით არასამთავრობო ორგანიზაცია „აგორას“ მიერ მოწყობილი სასათბურე მეურნეობის გახსნის პრეზენტაცია გაიმართა.

პროექტის მიზანია სოფელ რუხში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი ოჯახებისთვის სტაბილური შემოსავალის უზრუნველყოფა და უმუშევრობის შემცირება.

პრეზენტაციას საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის საკითხთა და სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი ზვიად ზვიადაძე, იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ტოშიო კაიტანი, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული ლევან შონია, არასამთავრობო ორგანიზაცია ასოციაცია „აგორას“ აღმასრულებელი დირექტორი თენგიზ სვანიძე, ვეტერანი ქართველი სუმოისტი ლევან ცაგურია (კოკაი), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მცხეთაში ახალი ხიდი აშენდება

საქართველოს **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით, ქ. მცხეთაში მდ. მტკვარზე ახალი სახიდე გადასასვლელი აშენდება.**

ნარეკვავი-მცხეთის რკინიგზის სადგურის საავტომობილო გზის მე-6 კმ-ზე, მდ. მტკვარზე ამჟამად არსებული ხიდი 1926 წელსაა აშენებული. ხიდი თბილისის მხრიდან მცხეთის სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარში, სამთავროს დედათა მონასტერსა და სამთავროს ტაძარში მიმავალი მღვდელმსახურებისა და მლოცველებისათვის ქალაქთან დაკავშირების ერთადერთი საშუალებაა. გარდა ამისა, მისი მეშვეობით ქალაქი მცხეთა რკინიგზის სადგურს და ზაჰესი-მცხეთა-კავთისხევი-გორი-ქარელი-ოსიაურის საავტომობილო გზას უკავშირდება. ნაგებობა მცხეთის ძველ, ისტორიულ უბანშია (ე.წ. პომპეუსის ხიდის მიმდებარედ) განლაგებული. სწორედ იქ, სადაც მტკვარი ზაჰესის წყალსაცავს უერთდება. ძველი ხიდის ტექნიკური მდგომარეობა ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე დატვირთვებსა და საქალაქო ხიდის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

ხიდის მნიშვნელობისა და მოძრაობის გაზრდილი ინტენსივობის გათვალისწინებით, აშენდება ახალი ხიდი, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს ქალაქ-მუზეუმისადმი წაყენებულ არქიტექტურულ, ესთეტიკურ და ისტორიულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს თავისუფალ სატრანსპორტო მოძრაობას. ხიდის მშენებლობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, მისი ღირებულება 363 440 ლარია.



მთავარმა პროკურორმა საპროკურორო საბჭოს ანგარიში წარუდგინა

საქართველოს მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ საპროკურორო საბჭოს პირველი ანგარიში წარუდგინა. ირაკლი შოთაძის მთავარი პროკურორის კანდიდატად არჩევის შემდეგ, საპროკურორო საბჭო პირველად შეიკრიბა და მთავარი პროკურორის 6 თვის მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინა, რომელიც ძირითადად შეეხებოდა საქართველოს პროკურატურაში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებს, ასევე უწყების მიღწევებსა და განვითარების სტრატეგიას.

როგორც პროკურატურა იტყობინება, მთავარმა პროკურორმა საპროკურორო საბჭოს წევრებს ინფორმაცია მიაწოდა პროკურატურის განვითარების 6-წლიან სტრატეგიაზე და სამოქმედო გეგმაზე. ისაუბრა უწყების სტრატეგიულ მიმართულებებზე და ხაზი გაუსვა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში პროკურორთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და დაზარალებულთა ინტერესების დაცვა პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ირაკლი შოთაძემ ასევე საქართველოს პროკურატურის იმ პრიორიტეტულ მიმართულებებზე გაამახვილა ყურადღება, როგორიცაა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკა, ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, სქესობრივი კავშირი 16 წლის ასაკს მიუღწეველთან, დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა და ამ მიმართულებებით გატარებულ ღონისძიებებზე ისაუბრა.

ასევე ანგარიშის წარდგენისას საპროკურორო საბჭოს წევრებმა მთავარი პროკურორისგან მოისმინეს ინფორმაცია მთავარი პროკურატურის მიერ უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ და დაზარალებულთა აღდგენილ უფლებებზე, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე სისხლის სამართლის დევნის დაწყებისა და განაჩენების მაჩვენებლებზე, გენერალური ინსპექციის მუშაობის შედეგებზე და დანაშაულის პრევენციის კუთხით გატარებულ ღონისძიებებზე.

მთავარმა პროკურორმა ყურადღება გაამახვილა იმ ნაბიჯებზე, რომელიც საქართველოს პროკურატურამ გადადგა გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლების მიმართულებით და პროკურორთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიციური კადრების მოზიდვის აუცილებლობაზე ისაუბრა.

ანგარიშის დასრულების შემდეგ მთავარმა პროკურორმა საბჭოს წევრების კითხვებს უპასუხა.

„მეტმა ნატომ საქართველოში“ ხიდაშელი აღაფრთოვანა

ნატოს სამიტისთვის მზადება აქტიურ ფაზაშია. საქართველოს თავდაცვის მინისტრი ალიანსის წევრ ქვეყნებში შეხვედრებს გამართავს.

პირველი აუდიენცია პოლონეთში შედგება. მინისტრი გლობალურ ფორუმშიც მიიღებს მონაწილეობას და პანელზე, სახელწოდებით „შევინარჩუნოთ ევროპული უსაფრთხოება“, სიტყვითაც გამოვა.

პოლონეთის შემდეგ თინა ხიდაშელი აშშ-ში გაემგზავრება. დაგეგმილია შეხვედრები ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატის ფარგლებში, ასევე ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 2014 წლის შემოდგომის მისიის საქმეზე მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით შეხვედრა გაეროს შტაბბინაში გაიმართება.

ნატოს ვარშავის სამიტი 8-9 ივლისს გაიმართება. საქართველოს დელეგაციას პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი უხელმძღვანელებს.

„გერმანული მოდელი“ კომიტეტის სხდომაზე ჩავარდა

იურიდიული კომიტეტის სხდომაზე ე.წ. გერმანული მოდელი კენჭისყრაზე ჩავარდა. კენჭისყრის შედეგად, ცვლილებებს მხარი 6-მა დეპუტატმა დაუჭირა, 2 წინააღმდეგი წავიდა, კვორუმი კი 7 იყო. საკითხის მოწინააღმდეგეები იყვნენ უმრავლესობის წევრები – გედევან ფოფხაძე და ვლადიმერ აჩბა. კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე დეპუტატებს შორის ურთიერთდაპირისპირების რამდენიმე ფაქტსაც ჰქონდა ადგილი. საკითხი „რესპუბლიკური პარტიის“ მიერ არის ინიცირებული.

ვეტოდენტი პრეზიდენტი და... ანტისამთავროზოები

ანტიძართული, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიხალხური, ბოლოს და ბოლოს – ანტიქრისტიანული. მოკლედ, რა სარეველას არ იტევს დალოცვილი და მადლიანი ჩვენი დედაენა.

სამწუხაროდ, წვიმის შემდეგ სოკოებივით მომრავლებული არასამთავრობო ორგანიზაციების (ასო-ების) გესლიანმა ვაიმოღვაწეობამ სიტყვაკაზმული ქართულის კიდევ ერთი მარგალიტის დაბადება მიკარნახა: ამიერიდან სრული საფუძველი გაგვაჩნია ამ ათას თოკზე

გადამტტართა და ლიბერასტთა ფონდებიდან სოლიდური გრანტებით ნასაზრდოებ კრებულებს **ანტისამთავრობო** ორგანიზაციები ვუწოდოთ. მე თქვენ გეტყვით და, თავმოყვარეობა შეაწუხებთ.

მოგეხსენებათ, სანიმუშო სოროსელად წარმოაჩინა თავი რაღაც მანქანებით გაპირველკაცებულმა „კარალევა მარგომაც“. ჰოდა, მოდით, ნურც მას დავუკარგავთ დამსახურებას ქვეყნის დამაქცევარი ძალების წინაშე და ვენეციის კომისიისა თუ ათასი ჯურის ვითომ ევროპული სტრუქტურების „უანგარო“ რჩევების უყოყმანოდ გათვალისწინებისა და ერთგულებისათვის ერთი მოკრძალებული თიკუნით ისიც დავასაჩუქროთ.

დიახ, ვფიქრობ, არაფერი დაშავდება, თუ საქართველოს ძლევამოსილ პრეზიდენტსა და შეიარაღებული ძალების იგავმიუწვდომელ მთავარსარდალს შიგადაშიგ ვეტოდენტადაც მოვიხსენიებთ.

რატომაც არა?

გია პლატონიშვილი

კანონშემოქმედება და ჯინიანობის რეჟიმი ქართულ პოლიტიკაში

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონთან დაკავშირებით პრეზიდენტის შენიშვნებს, რომლებიც არსებითი და სწორი იქნება, უმრავლესობა გაიზიარებს.

„პრემიერმა, რომელმაც აწარმოა წინასწარი მოლაპარაკებები პრეზიდენტთან, განაცხადა, რომ არსებით საკითხებზე, სადაც იყო აზრთა სხვადასხვაობა, პოზიციები შეჯერებულია. აქედან გამომდინარე, ჩვენ შენიშვნებს გავეცნობით. მე გუშინვე მივესალმე პრემიერის კონსტრუქციულ პოზიციას, რომ კანონშემოქმედებითი საქმიანობა ჯინიანობის რეჟიმში არ უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, შენიშვნების ნაწილი რაც იქნება არსებითი და სწორი, ჩემი აზრით, გაზიარებას დაექვემდებარება“, – განაცხადა ქუცნაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში შეტანილ ცვლილებებს ვეტო დაადო.

◎ კარგი ამბავი

ყველა ნიჭზე ძლიერია საქართველოს დაცვის ნიჭი

რიგითებს 950 ლარი ექნებათ!

31 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა დაიწყო საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის მსურველთა რეგისტრაცია. საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში 4-წლიანი კონტრაქტით მიიღებიან 18-დან 35-წლამდე წვევამდელები და ის ახალგაზრდები, რომლებსაც გავლილი აქვთ სამხედრო სავალდებულო ან სამხედრო საკონტრაქტო სამსახური. თავდაცვის სამინისტროში ასევე აცხადებენ, რომ სამხედრო უწყება არ აპირებს 2017-2018 წლებში ახალგაზრდების სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტომ საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის მსურველთა მიღებით განაახლა სამი წლის განმავლობაში შეჩერებული პროცესი. მინისტრ თინათინ ხიდაშელის თქმით, 600-ზე მეტმა ახალგაზრდამ ისევ ჩაიცვა სამხედრო ფორმა, გააფორმა კონტრაქტი საკუთარ ქვეყანასთან და საკუთარი სამშობლოს სამსახურის ფიცი დადო, მათ შორის ნაწილმა – 26 მაისს.

31 მაისს მხედრული ვალის მოსახდელად 18-დან 35 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეებს პირადად მოუწოდა თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა, რომელმაც საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის პოტენციურ მსურველებს წერილობით მიმართა:

„მართალია, ათასობით ადამიანს ვერ მივიღებთ დღეს, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორია მოთხოვნა, რომ უფრო გაგვიმარტივდეს 2017 წლის დაგეგმვა. წელს დაახლოებით 1000 ადამიანით შეივსო ჯარი, 1000 ახალი სამხედრო მივიღეთ საკონტრაქტო სამსახურში და უკვე ინტერესის და მოთხოვნის შესაბამისად ვგეგმავთ 2017 და 2018 წლებს. ასე რომ, ყველას გელოდებით ჯარში, გელოდებით საკუთრი სამშობლოს სამსახურში“.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, იმისთვის, რომ გახდეს რეკრუტი, ანუ დაქირავებული სამხედრო, მოქალაქე აბარებს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტესტს; ასევე გადის სამხედრო სამედიცინო კომისიას. შემდეგ ირიცხება საწყისი საბრძოლო მომზადების 10-კვირიან კურსზე (BCT –Basic Combat Training). შერჩეული კანდიდატებისათვის საწყისი საბრძოლო მომზადების კურსი დაიწყება 2016 წლის 19 სექტემბერს. კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში რეკრუტი დაინიშნება ქვედანაყოფში თანამდებობაზე. როგორც რადიო თავისუფლებას თავდაცვის მინისტრის მრჩეველმა გიორგი თავდგირიძემ უთხრა, სამინისტრომ წელს უკანასკნელად გაიწვია ახალგაზრდები სავალდებულო სამხედრო სამსახურის გასავლელად.

ეს იქნება ე. წ. არმიის რეზერვი, რომელიც იქნება სავალდებულო, მაგრამ ის არ შეეხება ჩვეულებრივ მოქალაქეებს, ის შეეხება მხოლოდ იმ პირებს, რომლებმაც ერთი კონტრაქტით მაინც იმსახურეს შეიარაღებულ ძალებში...

„2017-18 წლებში ჯერჯერობით დაგეგმილი არ არის, რომ უწყება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვევს ახალგაზრდებს. მინისტრის ბრძანებით და გენშტაბის გეგმის მიხედვით, ამ შემდეგი ორი წლის განმავლობაში არ მოხდება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა, ხოლო ამ პერიოდში მოხდება შეფასება ამ სამსახურისა ახალი მოდულის, ახალი კონცეფციის შემუშავება, თუ როგორი უნდა იყოს კონსტიტუციური ვალდებულების მოხდის ფორმა მშვიდობიანობის პერიოდში“, ამბობს თავდგირიძე.

თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ 2017 წლიდან ახალგაზრდების სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა საერთოდ შეწყდება. ახალწვეულებს კვლავინდებარად მიიღებენ შინაგან საქმეთა სამინისტრო და სასჯელაღსრულების დეპარტამენტი. თავდაცვის მინისტრის მრჩევლის გიორგი თავდგირიძის თქმით, საკონტრაქტოს გარდა, საქართველოს შეიარაღებული ძალები ასევე გამოიყენებს სამხედრო სამსახურის ნებაყოფლობითსა და სარეზერვო ფორმებს:

თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას, 2017-18 წლებში არ გაიწვიოს ახალგაზრდები სავალდებულო სამხედრო სამსახურში და ძირითადი დატვირთვა გადაიტანოს საკონტრაქტო სამსახურზე, მიესალმებიან სამხედრო საქმის ექსპერტები.

„კარგი იმით არის, რომ ეს ხალხი უფრო მოტივირებულია, იციან, რატომ და რისთვის მიდიან ჯარში და მეტად მიზანდასახულები არიან. გარდა ამისა, არის მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც მათ სპეციალისტებად ჩამოყალიბებას განაპირობებს. მათ აქვთ საშუალება შეიძინონ სასურველი სამხედრო პროფესია და ამ მიმართულებით გააგრძელონ სამხედრო სამსახური. ჯარში დარჩენის, ანუ კარიერის გაკეთების, თვალსაზრისითაც ხელსაყრელია საკონტრაქტო სამსახური“, უთხრა ექსპერტმა თემურ ჩაჩანიძემ რადიო თავისუფლებას.

საკონტრაქტო სამსახურში მიღებული სამხედროები ოთხი წლის განმავლობაში მაღალ ანაზღაურებას მიიღებენ. კონტრაქტორის ხელფასი 950 ლარს შეადგენს. სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში მყოფი პირის თანამდებობრივი სარგოს რაოდენობა იზრდება წოდების, თანამდებობისა და სამხედრო სტაჟის გათვალისწინებით, თუმცა, როგორც გიორგი თავდგირიძე ამბობს, საკონტრაქტო სამხედრო სამსახურისათვის უპირატესობის მინიჭება არ ნიშნავს იმას, რომ იცვლება კონსტიტუციით განსაზღვრული ზრდასრული მამაკაცის ვალდებულება, დაიცვას თავისი ქვეყანა. უბრალოდ, შესაცვლელია ამ ვალდებულების მოხდის ფორმა – ერთიანი სამხედრო სავალდებულო სამსახური.

ჯიმშერ რეხვიაშვილი

◎ ვარშავის სამიტის წინ

ნატოში მოთმინებით გველოდებიან...

ამის იმედი კიდევ ერთხელ გააჩინა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჯეიმს აპატურაის ამასწინანდელმა ვიზიტმა საქართველოში, რომელმაც განაცხადა, რომ ივნისში დაგეგმილი ვარშავის სამიტზე საქართველო უფრო მეტად იქნება წარმოდგენილი შეხვედრებში, ვიდრე სხვა პარტნიორები. ეს იმას ნიშნავს, განმარტა აპატურაიმ, რომ სამიტის შემდეგ უფრო მეტი ნატო იქნება საქართველოში და უფრო მეტი საქართველო ნატოში...

აპატურაის განცხადებამ საქართველოში ბევრი დააიმედა, მაგრამ ბევრსაც კითხვები გაუჩინა: როდემდე შეიძლება იდგეს ეს ასპირანტი ქვეყანა მაპის რიგში? არადა, ამდენი წლის ლოდინის შემდეგ, გვეუბნებიან მთავარი მაპი კი არა, ნატოს წევრობააო, მაგრამ რომ არც წევრად გვიღებენ? აგვიხსენით, ნატოს კარი ისეთი რა ევროტექნოლოგიით არის დამონტაჟებული, რომ ერთდროულად ღიაც არის და ჩარაზულიც?

ნატოს კარის მოსალოდნელ ჩარაზვასთან დაკავშირებით გაჩენილ ეჭვს ცივი წყალი გადაასხა ამერიკის თავდაცვის მდივნის მეორე მოადგილემ მაიკლ კარპანტერმა, რომელმაც განაცხადა: მიხარია, რომ მოკავშირეებმა მონტენეგრო ალიანსში მიიწვიეს. ახალი წევრის ნატოში მიწვევა იმის საუკეთესო დასტურია, რომ ალიანსის კარი ღიაა, მისი თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები დიდად აფასებს საქართველოს წვლილს ავღანეთში და აქამდე ერაყში. საქართველო ნატოს ერთადერთი არაწევრი მოკავშირეა, რომელიც ნატოს სამხედრო მისიაში მონაწილეობს.

— ველოდები, — განაცხადა მაიკლ კარპანტერმა, რომ ვარშავის სამიტის დეკლარაციაში, რომელიც ივლისში გამოქვეყნდება, ნატო-საქართველოს ყოვლისმომცველ პაკეტზეც იქნება საუბარი, ნატოელი მოკავშირეები კი ორმხრივ ფორმატებში ითანამშრომლებენ საქართველოსთან. შეერთებული შტატები საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან უფრო მეტ ერთობლივ წვრთნებს გამართავს.

ამერიკელი დიდმოხელის სიტყვების ერთგვარ ილუსტრაციად იქცა საქართველოს დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთო-სახალხო ზეიმი, რომელიც 26 მაისს გაიმართა. ცერემონიაში, საქართველოს შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის სამხედრო საჩვენებელ ორკესტთან ერთად, წელს პირველად მონაწილეობდნენ ნატოს წევრი შეიარაღებული ძალების ეროვნული და ამერიკის საჰაერო ძალების ორკესტრები. არც ის გაკვირვებია ვინმეს ღონისძიებაში ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების „ალფას“ ამერიკელი ასეული და ბრიტანეთის სამხედრო ძალების ასეული რომ მონაწილეობდნენ და არც ის, დიდი დღესასწაულის ჟამს, საქართველოს აშშ-ის არმიის ევროპული ჯარების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ფრედერიკ ბენჰოჯესი და ავღანეთში ამერიკის სამხედრო ძალების მეთაური, გენერალი ჯონ ნიკოლსონი რომ სტუმრობდნენ, რომ „აღარაფერი ვთქვათ ამერიკული ტანკის „ამბრამსისა“ და ჯავშანმანქანა „ბრედლის“ საზეიმო გასეირნებაზე, რომლებიც საქართველოს დედაქალაქში ბულგარეთის ნატოს ბაზიდან ჩამოიყვანეს.

ზეიმი ზეიმია და საქართველომ, როგორც მას სჩვევია, სტრატეგიულ პარტნიორებს დიდი პატივით უმასპინძლა, მაგრამ არ ვიქნებით მართალი, თუ ვიტყვით, რომ ჩვენს ქვეყანაში ამერიკულ-ევროპული უახლესი სამხედრო ტექნიკის საჯარო დემონსტრირებამ მთელი საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია, მისი ერთი ნაწილი, რომელიც აღიარებს, რომ ნატოსკენ სწრაფვა საქართველოსთვის უალტერნატივოა, კმაყოფილია ნატოს წევრი სახელმწიფოების ჯარისკაცების, ოფიცრებისა და სამხედრო ტექნიკის გამოჩენით, მაგრამ მეორე ნაწილი (მათ შორის ცალკეული პარლამენტარებიც) არც თუ უსაფუძვლოდ ფიქრობს, რომ საქართველოს ნატოში მომატებული დოზით ყოფნა რუსეთს მოთმინების ფიალას აუვსებს და ჯავრს ალიანსის მოღლაბუცე საქართველოს ხელისუფლებაზე იყრის.

შეიძლება განცვიფრდეთ, როცა შეიტყობთ, რომ ნატოს მოწინააღმდეგეთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც მოითხოვენ მაპს, მაგრამ არა ნატოსგან, არამედ რუსეთისგან — ევრაზიის კავშირში გასაწევრიანებლად (!). ამ უკანასკნელთ მიაჩნიათ, რომ მსგავსი მაპის მიღება რუსეთისგან გაცილებით რეალურია, ვიდრე იმ საოცნებო მაპისა-ნატოსაგან, თანაც ეკონომიკურადაც გაცილებით პრაგმატულია და რენტაბელური.

მაგრამ ამათ გარდა საქართველოში არიან სამხედრო ექსპერტებიც, რომელთაც ამ საქმეში მართლაც ჭკუა მოეკითხებათ. მათი ერთი ნაწილის აზრით, საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის დღესასწაულზე კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ნატო ჩვენი ერთადერთი არჩევანია და მასში გასაწევრიანებლად ყველაფერს აკეთებს. რაც შეეხება რუსეთის გაღიზიანებას, ის თავის აგრესიული პოლიტიკით საფრთხეს უქმნის არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ მსოფლიოს, მაგრამ ამის გამო საქართველოს მთავრობა საგარეო პოლიტიკურ კურსს ვერ შეიცვლის, ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა, ქალბატონმა თინათინ ხიდაშელმა შეიძლება შეიცვალოს განზრახვა და ნატოში ფანჯრიდან გადაძრომაზე უარი თქვას, მაგრამ თავად საქართველო ერთხელ აღიარებული კურსის ერთგული დარჩება. თანაც ხელისუფლებამ ეს უნდა გააკეთოს ისეთი სიფრთხილით, როგორიც ქვეყანას რუსეთთან კონფრონტაციას გადაარჩენს.

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ პუტინი აგრესორია, მაგრამ მასთან დავიდარაბას ყველა ქვეყანა ერიდება. აქედან გამომდინარე, მეც პირადად პუტინზე ცუდს არაფერს ვიტყვი, ჩვენი მთავრობა ძლივს რუსეთთან ურთიერთობას ალაგებს და არ მინდა, ხელი შევუშალო. უბრალოდ, ნატოელებს მინდა, ვურჩიო, „ნასას“ პროგნოზით წლეულს დიდი ქარაშოტებია მოსალოდელი და რაიმე ფარსაგს რომ არ გადაეყარონ, კარგი იქნება, ნატოს მოღიავებული კარი დროებით მაინც მოხურონ. ყოველ შემთხვევაში, მანამდე მაინც, ვიდრე რუსეთი ნატოში გაწევრებას თავადაც არ მოისურვებს.

ოთარ ხუციშვილი

◎ მხოლოდ სიყვარული გადაგვარჩენს...

ნაცებს საკუთარი ბოღმა ახრჩობთ!

არიძა, გვიშველეთ, თუ გადაგვარჩენს, ისევ მიშა, თავისი ცოცხით, თავისი ჟანდარმებთან მერაბიშვილთან, ახალაიებთან, ადეიშვილთან ერთად, დროზე, სანამ ერთმანეთი არ დაგვიჭამია.

არადა, ვითარება კატასტროფამდეა მისული. აი, უბრალო მარტივი სურათი: იმ დღეს ეზოში მეზობლები მაგიდასთან ვსხედვართ. კაცები ვსაუბრობთ, სადარბაზოდან ჩქარი ნაბიჯით გამოქანდა ნაციონალების მსახური ქალბატონი, ორი შვილის დედა, დიასახლისი.

— ახალი ამბავი გაიგეთ? — გამოცრა კბილებში.

ყველანი ვჩერდებით.

— ტიტას ხე წაქცეულა და ივანიშვილი ქვეშ მოყოლია, — ეგრევე დაახეთქა და გატრიალდა.

გვიან აღვადგინე მისი დაბერილი, სისხლმოძალებული თვალები. ბოღმისგან შესიებული სახე, დაძაგრული გამოხედვა და შემეცოდა.

ახლა მამაკაც მეზობელთან დიალოგი: ივანიშვილის ასე და ისეო. არადა სულ სხვა რამეზე ვსაუბრობდით, კაცები ნარდს თამაშობდნენ.

— რას ერჩი, ამ კაცს, მან ხომ გადაგვარჩინა, ქვეყანა იხსნა უბედურებისგან, — ვიცი, აზრი არა აქვს მასთან დავას, მაგრამ ვერ ვითმენ, — მან ხომ ეკლესიები აგვიშენა, გაგვიახლა ასობით ტაძარი!

— ჩვენ სამება არ გვჭირდება, — სიტყვას პირიდან მტაცებს.

— 40 მილიონი მოახმარა ოპერის აღორძინებას, ახლა ჩვენი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი მსოფლიოში მეორეა.

— არ გვჭირდება ჩვენ ოპერა!

კარგი, ჯანდაბას, ესენი ხომ უწიგნურები არიან, გაუნათლებელნი, ფსიქიკურად მოშლილები, მაგრამ ახლობელმა ჟურნალისტმა ქალბატონმა, თანაც დამსახურებულმა, აღიარებულმა და მწერლობაშიც ხელწაკრულმა, ზუსტად იგივე რომ გამიმეორა, ლამის ჭკუიდან შევიშალე. თურმე, ეს ქალბატონი იმ წყეული „რუსთავი-2“-ის მაყურებელი ყოფილა.

ჰოდა, რა გაემტყუნება ვაშაძეს, ვითომ ნაცების ჯურღმულიდან გამომძვრალს, იქ ჩარჩენილ მისავე თანამოსაგრეთ ივანიშვილის ფულით მოქრთამულებად რომ მიიჩნევს. ისინი კი თვით ვაშაძეს სწამებენ, ბიძინას კაციაო. ეგ კიდევ არაფერი.

ნაციონალების ახალი ბელადი დავითა, სააკაძის ხელის ბიჭი, ახლა ახალი ძალით იწყებს ბრძოლას ბიძინას ხელისუფლების დასამხობად. არადა, როგორ მენანება ნაღდი კაცური კაცი — მინისტრი დავით ბაქრაძე, რომლის წყალობითაც მაღალი რეიტინგით გაგვეჩითა დათიკუნა. ეჭვი არ მეპარება, იმ უცხოელ, მაგრამ ჩვენი ნაციონალების მწყალობელ მომიტინგეთა გამოკითხვისას ორ დავით ბაქრაძეში უთუოდ ეს კარგი დავითი იგულისხმეს, თორემ რუსული ტანკების წინააღმდეგ დანა-ჩანგლებით მებრძოლ ნაცბელადს თუნდაც ერთ ხმას ვინ მიაშავებდა?!

ლამის არის ცოცხლად შეჭამონ ჭეშმარიტი მამულიშვილი, პატიოსანი ერისკაცი დავით ნარმანია. არადა ამ არაკაცებს, ერის მოძულეთ, ფულებს დახარბებულთ, რომ შეეძლოთ, მამულიშვილურ, საშვილიშვილო საქმეთა მკეთებლებს დაიჭერდნენ. საკუთარი ხელით დააწერინებდნენ არსაკიძისეულ შეგონებას, „დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია“... დიახ, ასე იქნება და რომ შეძლებოდათ და მერე თავებსაც დააჭრიდნენ.

სულ სხვა თემაა პარლამენტი და ოპოზიცია, გათითოკაცებული პარტიები, ევრო-დოლარებით ნასუქი არასამთავროები... სიკვდილშემჯდარ კრაზანებივით აგზნებულნი იკბინებიან, იცოფებიან, გიურზა ხომ საშინელი გველია, მისი შხამი მომაკვდინებელი, მაგრამ თუ არ შეეხები, ისე ჩაგისრიალებს, ზედაც არ შემოგხედავს. ესენი კი ზედ შეგასკდებიან, დაგცოფავენ.

არადა დღეს უკვე ვეღარ გაიგებ, ვინ ნაცია, ვინ ქოცია, მეოცნებეების ერთმა ნაწილმა, სათადარიგო თავშესაფარი იპოვა და ქვეყანას, სამშობლოს არც ისინი დაგიდევენ, ყველანი ერთად სიცოცხლეს გვაძულებენ, თავბედს გვაწყევლინებენ.

ჩემს თაობელებს ერთი შადიმანი გვყავდა საწყევარი, თუ ვინმე ავკაცს, ქვეყნის მოღალატეს, გამყიდველს დავიგულებდით, შადიმანს ვეძახდით, რა თქმა უნდა, მაშინაც იყვნენ ბოროტები, აფერი, უზნეონი, მაგრამ დღეს რომ უბედურება გვჭირს, მტრისას!

მიშა გადაქანებულს, მის ცოცხსა და ჯურღმულს მგონი ფასი დაედოს, ამ ამღვრეულ, სატანის ქაოსის მოსურნე მედროვეთა მოძალების ჟამს. არადა, ჩვენისთანა პატარა, მცირერიცხოვან ერს „შვილი დასაკარგავი“, მართლაც რომ აღარ უნდა ვგყავდეს, მაგრამ ამათ საკუთარი ბოღმა დაახრჩობს. არადა რას გახდები კანდელაკებთან, მინაშვილებთან, მაჭავარიანებთან, ჩიორებთან...

რაო, არ მითხრათ ახლა ძმები ბერძენიშვილები ანგელოზები არიანო, ალასანია და მისი გუნდი ხომ... ან კუკავანათელაშვილის დუეტი...

იმ დღეს იტალიიდან ჩემმა ქალიშვილმა, იქ რომ „ტყვეობაშია“, დამირეკა ლევან ვასაძეს თუ უყურეო. ღმერთი მამულიშვილებს არ გამოულევს საქართველოსო, ვასაძეც მართლაც რომ ერის კაციაო.

ამ დემოკრატიის ნიღბით მომრავლებულმა მოძალადეებმა შეიძლება ქვეყანა თავზე დაგვამხონ, რაღაც საშინელებას გვიმზადებენ...

არადა, იყო დრო როდესაც ერთმანეთი გვიყვარდა, თუნდაც იმ კურთხეული 9 მაისის დღეებში. თუნდაც 1956 წლის მარტში სტალინის ძეგლთან ასიათასობით ადამიანი რომ ვიდექით ტყვიის წვიმაში.

ქართველებს შეგვიძლია სიყვარული. იქნებ არჩევნების შემდეგ მაინც დადგეს მოფერების ჟამი და მიშას ცოცხთან ერთად დავამარცხოთ სიძულვილი, რომელიც ნაციონალებმა შემოგვიგორეს.



დროა მომავალ თაობებს, ჩვენს უნიჭიერს ახალგაზრდობას ავარიდოთ სიძულვილის საფრთხე. ვიფიქროთ საქართველოს გადარჩენაზე.

გივი ჯაახუა.

P.S. არადა დღე არ გავა, ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენებმა, ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა მსოფლიო სპორტული ასპარეზობიდან ოქრო და ვერცხლი არ ჩამოგვიხვავონ. ხელოვნებაშიც ხომ ვართ და ვართ, ჰოდა, ვიამაყოთ, გავიხაროთ, ვაშენოთ ახალი ქვეყანა, რაც მთავარია, გვიყვარდეს სამშობლო, სამშობლოს სიყვარულში გავეჯიბროთ ერთმანეთს!

გ. ჯ.

ნარმანია არასამთავრობოებს პასუხობს

„ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის“ ცენტრის კვლევას ნარმანია ეხმაურება და აცხადებს, რომ ყველა გადაწყვეტილება კანონის დაცვით არის მიღებული. „ის ქმედებები, რაც ჩვენ განვახორციელეთ, არის აბსოლუტურად სამართლიანი, შესაბამისი კანონმდებლობის ნორმებიდან და პროცედურებიდან გამომდინარე. 20-მდე სხვადასხვა კვლევა გაკეთდა, შესაბამისად, პროექტი მაქსიმალურად დაიხვეწა, ამიტომ, რაიმე სახის პრობლემა ამ პროექტის ნაწილში, მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით, არ არსებობდა,“ — განაცხადა დავით ნარმანიამ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის“ ცენტრი თავის კვლევაში „პანორამა თბილისის“ პროექტისა და ბოტანიკური ბაღის შეცვლილ საზღვრებში მშენებლობის ნებართვის არაკანონიერებაზე საუბრობს.

პატრიარქის ეპისტოლეები და დავით კოღუაშვილის პი ბზუილი

პატრიარქის ეპისტოლეები ჩემი და ჩემი შვილების სამაგიდო წიგნი და სულიერი საზრდოა. 2016 წლის საშობაო ეპისტოლეში ვკითხულობთ:

„ერთმა კაცმა სოკრატეს ჰკითხა:

— იცით, რა უთქვამს შენზე შენს მეგობარს?

სოკრატემ კითხვა შეუბრუნა.

— დარწმუნებული ხართ, რომ რის თქმასაც აპირებ, სიმართლეა?

— ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე დარწმუნებული ვარ, რადგან სხვისგან მოვისმინე.

— რაც უნდა მითხრა, კარგი ამბავია?

— არა, პირიქით.

— ე.ი. შენ უნდა მითხრა რაღაც ცუდი, და არც იცი, ეს რეალობას შეესაბამება თუ არა. სარგებლობის მომტანი თუ მაინც არის?

— ვფიქრობ, არა.

— თუ ინფომაცია, რომელიც გინდა მომაწოდო, არ არის არც კარგი, არც მართალი და არ სასარგებლო, რა აზრი აქვს მის თქმას?“ — უპასუხა სოკრატემ და განეშორა მოსაუბრეს.

პატრიარქი დასძენს — „დღეს ასე ცოტა ვინმე თუ მოიქცევა. ამაში სოკრატეს საქციელი იგულისხმება.

ეს ამბავი დავით კოღუაშვილის დივერსიულ განცხადებაზე ბატონი გიორგი კვირიკაშვილის კომენტარებმა გამახსენა.

ბატონი გიორგი ბრძანებს, დავით კოღუაშვილი ჩემი დიდი ხნის მეგობარიაო. მართალია, მას სოკრატეობას არავინ სთხოვს, მაგრამ იგი ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და მმართველი პარტიის თავმჯდომარეა. ამიტომ სოკრატესი არ იყოს, ინფორმაცია, რომელიც პრემიერ-მინისტრის დიდი ხნის მეგობარმა გაავრცელა, არ არის არც კარგი, არც მართალი და არც სასარგებლო. ამიტომ სოკრატესავით ზურგი უნდა შეექცია მეგობრისათვის და გამოეყვანა პოლიტსაბჭოს შემადგენლობიდან. მეტიც — პარტიიდანაც უნდა გაერიცხა. აღიარება იმისა, რომ მეტს აღარ გაიმეორებს, იმას ჰგავს, კლასის დამრიგებელს დანაშაულზე წასწრებული მოწაფე რომ ეტყვის, მეტს აღარ ვიზამ, მასწ... პრემიერი იმასაც ბრძანებს, რომ კოღუაშვილმა ორიოდე დღეში მოხსნა ყველა რეკორდი დაუფიქრებელი განცხადებებით. მინდა, წინასწარ ბოდიში მოვუხადო ჩვენს პრემიერს იმის გამო, რომ ვერ გავიზიარებ მის კომენტარს, რომ ეს „დაუფიქრებელი განცხადებები იყო“. სავსებით მართალია ბატონი გიორგი, რომ დავით კოღუაშვილმა ორიოდე დღეში მოხსნა ყოველგვარი რეკორდი, რომლითაც ძალიან შეგნებულად სააკოვისა და მისი უცხოელი ლობისტების წისქვილზე მიუშვა წყალი. რაც შეეხება სინტაგმას „დაუფიქრებელი განცხადებები“, ეს არის დიდი ხნის ნაფიქრი და ნალოლიავები ჩასაფრებული კაცის პოზიცია და არაფერი აქვს საერთო დაუფიქრებლობასთან.

როცა ბატონი დავით კოღუაშვილის დივერსიული განცხადებები მოვისმინე, იმ წუთში ამოვიცანი მისი ნამდვილი პორტრეტი. თავის დროზე მსგავს განცხადებებს ვისმენდით სპეცსამსახურების მიერ „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგილი მურმან დუმბაძისა და დავით საგანელიძისაგან. იმან უფრო გამაკვირვა, ამ ფსიქოლოგიის კაცი რა გზით გახდა მმართველი პარტიის წევრი და ვისი „დახმარებით“ დაირტყა პოლიტსაბჭოს წევრობა?! აქ შექსპირმა შემახსენა თავი: ყოფნა-არ ყოფნა საკითხავი აი ეს არის. აი ეს არის საკითხავი, როგორ, რა მანქანებით აღმოჩნდა ბატონი დავითი მმართველი პარტიის უმაღლეს ორგანოში??? მე კიდევ უფრო აღშფოთებული ვარ შემრიგლებლური კომენტარებით, რომლებიც მასმედიაში გავრცელდა „ქართული ოცნების“ წევრებისა და ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლისაგან. სამწუხაროა, რომ პოეტ რეზო ამაშუკელის გარდა, არავის წამოცდენია დავით კოღუაშვილის პოლიტსაბჭოდან გამოყვანის მოთხოვნა. კაცმა, რომელმაც თავისი ჭკუით, ყოველგვარი ბრალდება მოუხსნა ქართველი ნაცისტების ჯალათებს, „ქართულ ოცნებაში“ არაფერი ესაქმება, მით უფრო პოლიტსაბჭოში. უგულავა გავუშვათ, მერაბიშვილს მძიმე ბრალდება და სასჯელი მოეხსნასო რომ ამბობს, ბარემ ისიც ეთქვა, აღვადგინოთ თანამდებობებზე და სააკაშვილი დავაბრუნოთ პრეზიდენტადო.

კოღუაშვილის „ქართულ ოცნებაში“ შეყვანამ და მისმა ელვისებურმა განცხადებამ, თითქოს დასწრებაზე იყო, წყალი გადაასხა და დათრგუნა „ქართული ოცნების“ ათიათასობით აქტივისტი და გულწრფელი გულშემატკივარი. მე, მწერალი შოთა ზოიძე, რომელიც პირველი დღიდანვე „ქართული ოცნების“ მთავარი იდეოლოგი ვიყავი და ვარ აჭარაში, მე , რომელიც სიცოცხლის რისკის ფასად მოსვლის დღიდან კრიტიკის ქარცეცხლში ვატარებდი სააკოვის ნაძირალა ხელისუფლებას, რისთვისაც არაერთი მუქარა და შანტაჟი დამატყდა თავს, რისთვისაც სამსახურებიდან გაყარეს ჩემი ნათესავები და ოჯახის წევრები, მე, ვინც „ქართული ოცნების“ l ყრილობის დელეგატი და აჭარაში ერთ-ერთი დამფუძნებელი ვიყავი, ახლახან ჩატარებულ „ქართული ოცნების“ ბათუმის კონფერენციაზე დარბაზში არ შემიშვეს. ამ დროს თავისუფალი დემოკრატების, რესპუბლიკელებისა და ნაცების წარმომადგენლებს ყრილობის დელეგატებად ირჩევენ, ხოლო ბატონი დავით კოღუაშვილი პოლიტსაბჭოში შეჰყავთ, საქმე მართლაც ძალიან ცუდადაა, იმაზე უფრო ცუდად, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ვაღიარებ, რომ კარგად თქვა პრემიერ-მინისტრმა, ორიოდ დღეში მოხსნა ყველა რეკორდიო. მე დავამატებ, რომ ამ განცხადებამ უფრო მეტი გააკეთა ნაცისტური რეჟიმის რეანიმაციისათვის, ვიდრე ნაცისტებისა და „ცრუსთავის“ ჟურნალისტების ერთად აღებულმა დემაგოგიამ, რაც ამ ოთხი წლის მანძილზე მოგვისმენია. დავუშვათ და 8 ნოემბრის არჩევნებში ნაცებმა გაიმარჯვონ და მაგარი მიშა მობრუნდეს, ბატონ კოღუაშვილს პარლამენტის თავმჯდომარეობა თუ არა, მინისტრობა განაღდებული აქვს. ჯობს, ზღაპრებს თავი დავანებოთ და სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ. ნახევარი სიმართლე ტყუილზე უარესია. ბატონ დავით კოღუაშვილს თურმე გული იმისთვისაც სწყდება, ყოველ მათგანზე, რომ თავიანთი საქმეების გამო დევნილები გახდნენ. ძვირფასი დავითი დევნილებს რომ უწოდებს (სააკაშვილი, კეზერაშვილი, ადეიშვილი), ისინი თავიანთი ნებით გაქცეული თუ გაპარული არიან საქართველოდან და თანაც მილიარდები აქვთ გატაცებული და უცხოეთში მეფურად ცხოვრობენ, ქართველი ხალხისთვის გაძრობილი ტყავით შეკერილი ქურთუკებით შემოსილები. ან კიდევ, ყოველ მათგანს გააზრებული ჰქონდა საკუთარი დანაშაულის სიმძიმე და გარდაუვალ სასჯელს დაემალნენ. მათი რეჟიმის მიერ დევნილი მთლიანად ქართველი ხალხია, უკანალაქავებული იმ ქართველების გარდა, ნაცისტების სამსახურში რომ იდგნენ. „ალბათ ეს საქმე გადაისინჯება, — ამბობს ბატონი დავითი, — და დარწმუნებული ვარ, ჩვენი სამართალი შესაბამის რეაგირებას მოახდენს. მე არა მგონია, რომ უგულავამ დიდხანს დაყოს ციხეში და ვისურვებდი, მალე დაუბრუნდეს ოჯახს. მას შეუძლია გაცილებით მეტი სიკეთე მოუტანოს ქვეყანას გარეთ, ვიდრე საკანში“.

„ქართული ოცნების“ ბოლო ყრილობაზე აჭარიდან არც ერთი კაცი არ შეიყვანეს პოლიტსაბჭოში. ისიც მინდა ვაღიარო, თუნდაც სიმართლის გულისთვის, რომ ყრილობაზე წარმოდგენილი აჭარის დელეგაციიდან არც ერთი არ იყო ამისი ღირსი.

აღარ ვიცი, რა ვთქვა და რა ვიფიქრო, პატივცემულო მკითხველო. იქნებ ჯობს, უკომენტაროდ დავტოვო ციტირებული ტექსტი. როგორც ჩანს, ბატონ დავითს დაავიწყდა ეთქვა, რომ ციხიდან გამოსული უგულავა ახალ, უფრო მძლავრ „კმარას“ შექმნის და დაამხობს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას. სავსებით მართალი ხარ, ჩვენო სულიკო. „კმარას“ შემქმნელი და შემოქმედი უგულავა ციხეში არ უნდა „ცდებოდეს“, თუმცა, როცა გარეთ იყო და ხელეწიფებოდა, იმდენი „სიკეთე“ მოუტანა ქვეყანას, ჯოჯოხეთი განაღდებული აქვს. ბატონი დავითი რომ ამბობს, უგულავა „მალე დაუბრუნდეს ოჯახსო“, თუ უფიქრიათ იმაზე, ნაცების მიერ საიქიოში გასტუმრებული ადამიანები, მათ შორის, მწერალი-აკადემიკოსი გურამ შარაძე, მამაშვილი იური და ზურაბ ვაზაგაშვილები, დედა-შვილი თინა და სანდრო გირგვლიანები, ქუთაისში მემორიალის აფეთქებისას დაღუპული დედა-შვილი ჯინჭარაძეები, სვანეთის დაბომბვისას ჩახოცილი ადამიანები რომ ველარასოდეს დაუბრუნდებიან ოჯახს? შეწყალება არ უნდა ხდებოდეს სხვა ადამიანის სიცოცხლის ხარჯზე!

აქამდე რაც ვთქვი, ასე თუ ისე, სხვა და სხვა ფორმით აისახა ჩვენს მასმედიაში, მაგრამ რასაც ქვემოთ ვიტყვი, არავის აზრადაც არ მოსვლია.

მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ბატონმა დავითმა არ იცოდა, რასაც ამბობდა და რა შედეგი მოყვებოდა ამ ნათქვამს. ამიტომ ჩემში არის ძალიან ლეგიტიმური ეჭვი იმის შესახებ, რომ მისი ეს განცხადება შეთანხმებული იყო ხელისუფლებასთან. მე არ გამოვრიცხავ არც იმას, რომ საქართველოს ხელისუფლება განიცდის ამერიკულ ზემოქმედებას, რათა უტყუარი მტკიცებულებებით გაჯერებული ბრალდებები მოუხსნან მერაბიშვილსა და უგულავას. რა თქმა უნდა, ჩვენი ხელისუფლება ამას არ კი არა, ვერ გაასაჯაროვებს. მე არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ ინტერპოლის მიერ კეზერაშვილის ძებნილთა სიიდან ამოღება ამერიკული პროექტია. როგორც ჩანს, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი ვერ ჩასვეს საკუთარ ჩარჩოში, იგი კერკეტი კაკალი გამოდგა . ამიტომაც დაჩქარდა მისი, სრულიად მოულოდნელად, თანამდებობიდან გადაყენება. ჩვენს ხელისუფლებას კოღუაშვილის პოლიტსაბჭოში შეყვანაც მათი დავალების შესასრულებლად მოხდა. დღეს ბატონი კოღუაშვილი, ხვალ ბატონი X გააჟღერებს ამ თემას და ზეგ უგულავას და მერაბიშვილს მატროსოვის კარს გაუღებენ. გაიხსენეთ ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩა“, მისი პერსონაჟი მურტალო ეუბნება კუკარაჩას, ციხეს ორი კარი აქვს — შესასვლელი და გამოსასვლელი. თუ პროკურორი ან მოსამართლე გაჯიუტდება, პრეზიდენტი შეიწყალებს და ეს ორი მამა აბრამის უცოდველი კრავი, კოღუაშვილის სიტყვებით თუ ვიტყვით, გარეთ განაგრძობენ „საქვეყნო საქმის“ კეთებას. საჭიროა მხოლოდ გარეთ ახალ-ახალი ცოცხები დავახვედროთ.

რაც შეეხება ხალხის მღელვარებას, აიფოფრება, მაგრამ სხვა უფრო მატერიალური პრობლემით გადაიფარება ისე, როგორც მურუსიძის შემთხვევაში მოხდა. ძალა რომ აღმართს ხნავს, უკვე გაცვეთილი შეგონებაა.

მე არაერთხელ მითქვამს და მასმედიაშიც დამიწერია, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ერთი ადგილი ეკუთვნის საქართველოს მთავრობაში. კიდევ მეტიც: „ქართული ოცნების“ ბოლო ყრილობაზე აჭარიდან არც ერთი კაცი არ შეიყვანეს პოლიტსაბჭოში. ისიც მინდა ვაღიარო, თუნდაც სიმართლის გულისათვის, რომ ყრილობაზე წარმოდგენილი აჭარის დელეგაციიდან არც ერთი არ იყო ამისი ღირსი. ამ თემაზე, თუ მისი ნება იქნება, რაც არა მგონია, მზად ვარ პირადად ვესაუბრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს არჩილ ხაბაძეს.

საქართველოში, ბოლოს და ბოლოს, უნდა დასრულდეს ნაცებისა და თავისუფალი დემოკრატების, რესპუბლიკელების და სხვა პარტიების მმართველ პარტიაში გადანერგვის პროცედურა, რაც არახალია.



შოთა ზოიძე,
მწერალი,

ქ. ბათუმი, 2016წ.

ახალი საბავშვო ბაღი ვაშლიჯვრელი პატარებისთვის

თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა დაიწყო. ბაღის საძირკველში სიმბოლური კაფსულა დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელ თემურ თორდინავასთან, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილთან, საკრებულოსა და სამშენებლო კომპანია „გიკოს“ წარმომადგენელთან ერთად ჩადო.

თბილისის მერმა პატარებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა და განაცხადა, რომ მათთვის თბილისის მერია 10 ახალი ბაღის მშენებლობას იწყებს.

ვაშლიჯვრის ბაღი ექსპლუატაციაში 2017 წლის პირველ ნახევარში შევა. ახალი ბაღის მშენებლობისთვის 2 194 868 ლარია გათვალისწინებული. საბავშვო ბაღში 10 ჯგუფი გაიხსნება და სააღმზრდელო პროცესში ჩართვას, დამატებით, 350-მდე ბავშვი შეძლებს.

გამორჩეული ფსიქოლოგი და ადამიანი

დღეს 2 ივნისს პროფესორ **ნოდარ ბარამიძეს** 70 წელი შეუსრულდა. სულ ახლახან გამომცემლობა „აჭარამ“ გამოსცა მისი დიდებული წიგნი „ჩემი გადასახედიდან“, რომელიც განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისთვის. ეძღვნება ავტორის მიერ განვლილ ცხოვრებისეულ გზას და მოიცავს იმ სულიერ, მორალურ და ზნეობრივ ღირებულებებსა და ფასეულობებს, რომლებიც თვით ავტორისათვის ცხოვრების კრედოა. წიგნში ავტორი გარკვეულწილად აჯამებს მის სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას, ამასთან განსაკუთრებული სითბოთი იხსენებს და აღწერს ბავშვობის წლებს, სიყვარულით იხსენებს წინაპრებსა და მასწავლებლებს, რომლებმაც დიდი კვალი დატოვეს ბატონ ნოდარ ბარამიძის შემოქმედებაში. წიგნში ავტორი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს მშობლიურ სოფელ გონიოს, რომელიც თავისი პირველი საუკუნის ციხით საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ კარიბჭეს წარმოადგენს. გონიოს ისტორიის შესახებ ბევრი დაწერილა, უფრო მეტიც, კვლევა ჩატარებულა, მაგრამ ბატონი ნოდარის მიერ აღწერილი და გადმოცემული ფაქტობრივი მასალების ანალიზი თუ ლეგენდა მკითხველს კიდევ ერთხელ დააბრუნებს წარსულში და ჩაიფიქრებს: **„წარსულს პატივი, რომ სცე, ის უნდა იცოდე, წარსულის გარეშე მომავალი არ შეიქმნება“**. საერთო ეროვნულ ტკივილს და აჭარის ბედს იზიარებდა ისტორიული გონიო. მრავლისმომსწრე გონიოს ციხეს ახსოვს ჩვენი ისტორიის ავბედითი პერიოდები. გონიოს ისტორია საქართველოს ისტორიაა და მისი მოყვანა წიგნში განპირობებულია ახალგაზრდა თაობის მოტივაციურ აღმზრდელობითი მიდგომით.

გონიოს უკავშირდება უპირველესად თავისი წინაპრების ცხოვრება. სწორედ ამიტომაც ბატონი ნოდარი გონიოს ისტორიის კვალდაკვალ თხრობას თავისი გვარის კაცების ცხოვრებაზე აგრძელებს. ფსიქოლოგიის პროფესორი ნოდარ ბარამიძე საინტერესოდ აღწერს ბარამიძეთა საერთო საგვარეულო, უფრო სწორად გენეტიკურ ნიშან-თვისებებსა და მახასიათებლებს. პატიოსნებით გამორჩეული, ალალ-მართალი, შრომისმოყვარე, სტუმართმოყვარე, ერთგულები, სამართლიანები... ასეთია ის ძირითადი გენეტიკური კოდი, რომელიც ჩადებულია ბარამიძეთა მოდგმაში, რომელიც დღესაც გრძელდება და რომელსაც მრავალჟამიერი მინდა, ვუსურვო. ისტორიის ავბედითმა ჟამმა ბარამიძეებს მუჰაჯირობის მწარე ხვედრი არგუნა. რუსეთის იმპერიის რეაქციულმა, შავრაზმულმა ფრთამ ღალატი დასწამა აჭარლობას. რუსული ჩექმით ისევ დაიწყო აჭარის აყრა-გასახლება, მისი აოხრება და განადგურება. სხვებთან ერთად თურქეთში გაიხიზნა ბატონ ნოდარის ბაბუის ოჯახიც. ემიგრაციაში ოჯახმა 3 წელი დაჰყო. სამწუხაროდ, სამშობლოში დაბრუნების ბედნიერება ოჯახის ყველა წევრს არ ეღირსა. ბარამიძეები ყოველთვის დიდი ნდობით სარგებლობდნენ. საყოველთაოდ ცნობილი დაჭერებისა და გადასახლებების მძიმე პერიოდებში, ასეთი მოლოდინის მქონე ადამიანები, ქონების კონფისკაციის შიშით, თავიანთ ნივთებსა და ძვირფასეულობას ბარამიძეებს აბარებდნენ შესანახად.

წიგნში მოცემულია ინფორმაცია ავტოპორტრეტისათვის. ავტორი ამ შემთხვევაში მოკრძალებულია. ბატონი ნოდარისათვის ისედაც უცხოა უხვსიტყვიანობა, ის აკადემიზმით დატვირთულია. სწორედ ამ მიდგომებით აღწერს ბავშვობას, სტუდენტობას და სამეცნიერო- პედაგოგიურ საქმიანობას. ბატონი ნოდარი მრავალშვილიანი, დიდი ტრადიციების მქონე ოჯახში დაიბადა. ოჯახმა, დედმამისშვილებთან ურთიერთობამ უდიდესი როლი შეასრულა მისი, როგორც პიროვნების ფორმირების საქმეში. სკოლამ და მასწავლებლებმა კი განსაზღვრეს მისი მომავალი. 1964 წელს მედალოსანი კურსდმთავრებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. უნივერსიტეტმა საბოლოოდ განსაზღვრა ბატონ ნოდარ ბარამიძის პროფესიული მომავალი. ბატონი ნოდარი უკვე სტუდენტობის წლებში აქტიურად ჩაერთო სამეცნიერო საქმიანობაში. შედეგად კი ის მიავლინეს ჩეხოსლოვაკიაში სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. თავის თანატოლებში პრინციპული და სამართლიანი, იმავდროულად შემტევი ხასიათის ნოდარ ბარამიძე ლიდერია. სტუდენტმა თავისი პროფესორის დავალებით შეძლო და წარმატებით უხელმძღვანელა სტუდენტური პრაქტიკის მონაწილეებს ქ. მოსკოვში. ბატონი ნოდარი განსაკუთრებით უმადლის თავის პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებმაც შეამჩნიეს სწავლაზე ორიენტირებული ახალგაზრდა და არაერთი წინადადება შესთავაზეს სწავლის გასაგრძელებლად. ნოდარ ბარამიძემ სწავლა გააგრძელა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. ასპირანტურაში სწავლის პერიოდში ის გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. მიუხედავად შეთავაზებული დახმარებისა, მან უარი განაცხადა დარჩენაზე და პირნათლად მოიხადა სამხედრო ვალდებულება.

წიგნში ბატონი ნოდარი განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით საუბრობს თავისი მეცნიერ ხელმძღვანელის პროფესორ შალვა ჩხარტიშვილის შესახებ. არ ივიწყებს და უმადლის ხელმძღვანელს კეთილმყოფელ ზეგავლენას, ობიექტურობას და მომთხოვნელობას.

ბატონი ნოდარი თავის საინტერესო ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს და სიყვარულით აღწერს ოჯახის შექმნასთან დაკავშირებულ ეპიზოდებს. იგრძნობა, რომ მეუღლისადმი სიყვარული კი არ განელდა, არამედ უფრო გამძაფრდა. არანაკლები სითბოთი და სიყვარულით წერს თავის შვილებზე: მამუკასა და ირაკლიზე, რომლებიც ქვეყნის სამსახურში არიან და სამშობლოს უზრდიან ღირსეულ შვილებს.

პროფესორი ნოდარ ბარამიძე კრებულში ასევე გამოხატავს განსაკუთრებულ დამოკიდებულებას თავისი მეგობრების მიმართ. ბატონი ნოდარისათვის მეგობრობა და ერთგულება „ბალღობის სანახებში შენახული განძია“.

ადამიანის ცხოვრებას აზრი აქვს მაშინ, თუ ის უშუალოდ ემსახურება თავის სამშობლოს, ხალხს და მთლიანად იხარჯება მისი კეთილდღეობისათვის. ცნობილია, რომ პიროვნების დამსახურება საზოგადოების წინაშე გაწეული ამაგით იზომება. ცხადია, დიდი საქმის კეთებას, დიდ უნართან ერთად დიდი ასპარეზი უნდა. სწორედ ასეთი დიდი ასპარეზია სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა. ასეთ დიდ და საპატიო საქმეს ემსახურება ბატონი ნოდარი აგერ უკვე თითქმის 50 წელია. პროფესორი ნოდარ ბარამიძის დამოუკიდებელი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა სავსეა სირთულეებითა და წარმატებებით. გზა, რომელიც გაიარა ბატონმა ნოდარ ბარამიძემ, შთამბეჭდავია. 1973 წლიდან დღემდე ის მოღვაწეობს და ემსახურება ფსიქოლოგიას: დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი, პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ახლანდელი ილიას უნივერსიტეტი) ლექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის პედაგოგიური ფსიქოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის (ახლანდელი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ლექტორი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ლექტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ახლანდელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი) დოცენტი, პროფესორი, ფსიქოლოგიის კათედრის გამგე, პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ბატონი ნოდარ ბარამიძე პროდუქტიული მეცნიერია. გამოქვეყნებული აქვს 11 წიგნი, 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი და 100-ზე მეტი პუბლიცისტური ნაშრომი. მისი სამეცნიერო კვლევების პრობლემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. ექსპერიმენტალურად სხვადასხვა ასპექტითა და მიმართებით შეისწავლა შორეული მოტივაციური ქცევა და კონცეპტუალურად განაზოგადა მიღებული შედეგები. იგი დღემდე სწავლობს და აგრძელებს კვლევებს პედაგოგიური და ისტორიული ფსიქოლოგიის საკითხებზე, აგრეთვე ნებისყოფის პრობლემატიკაზე.

პროფესორ ნოდარ ბარამიძის ინიციატივითა და თაოსნობით ჩატარებულა არაერთი სამეცნიერო ფორუმი. მისი რედაქტორობით და ავტორობით გამოცემულია 20-მდე წიგნი, დააარსა პერიოდული სამეცნიერო კრებული „ფსიქოლოგიური გმოკვლევები“ და ა. შ.

ბატონ ნოდარის დამსახურება განათლების, მეცნიერების და სამშობლოს წინაშე გამოხატულია შესაბამისი ჯილდოებით. იგი ამავდროულად არის პროფესორისთვის ყველაზე დიდი ჯილდოს მფლობელი — **თავისმა შეგირდებმა სოციოლოგიურ გამოკითხვებში პროფესორი ნოდარ ბარამიძე საუკეთესო ლექტორად აღიარეს.**

მეცნიერმა ნოდარ ბარამიძემ ახალ საფეხურზე აიყვანა თავისი მასწავლებლების მიერ დაწყებული საქმე და ფაქტიურად შექმნა სკოლები ფსიქოლოგიის მიმართულებით ქუთაისსა და ბათუმში, საკუთარ მოწაფეებთან ერთადაც იგი ღირსეულად აგრძელებს სახელოვან ტრადიციებს და მეცნიერულ მემკვიდრეობას.

პროფესორი ნოდარ ბარამიძე არასოდეს ყოფილა გულგრილი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. იგი იდგა იქ, სადაც სამშობლოს უჭირდა. ეროვნული პრობლემატიკა, კულტურა და განათლება პროფესორ ნოდარ ბარამიძის შემოქმედების განუყოფელი ნაწილია.

ბატონ ნოდარ ბარამიძეს განსაკუთრებული ნიჭი აქვს ადამიანებთან ურთიერთობისა. ის ზედმიწევნით დახვეწილი, ხალისიანი, მეგობრული, სამართლიანი და ყურადღებიანია.

ბატონო ნოდარ, მადლობა იმ ღვაწლისთვის, რომელიც თქვენ მიგიძღვნით მომავალი თაობების აღზრდის, ქართული მეცნიერების განვითარებისა და სამშობლოს წინაშე. გილოცავთ იუბილეს, გისურვებთ ხანგრძლივ, ჯანსაღ, ბედნიერ და წარმატებულ სიცოცხლეს.

ალიოშა ბაკურიძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი.

ბავშვთა დაცვის დღე და განთავისუფლებული არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით, ბავშვთა დაცვის დღეს პირობით ვადამდე 3 არასრულწლოვანი მსჯავრდებული გათავისუფლდა.

საბჭომ სამი არასრულწლოვნის საქმე განიხილა და სამივე მათგანის შემთხვევაში გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო. განხილვისას შეფასება რამდენიმე კრიტერიუმით ხდება. მათ შორისაა, ჩადენილი დანაშაულის ხასიათი; მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში; მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა; ოჯახური პირობები; ასევე, მსჯავრდებულის დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულის მიმართ.

შეღავათები ორ წლამდე სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის

6 თვიდან 23 თვემდე სოციალურად დაუცველი 13 ათასამდე ბავშვი 15-კომპონენტიან ვიტამინებისა და მინერალების კვებით დანამატს უფასოდ მიიღებს:

„ჩვენ სულ მალე, რამდენიმე კვირაში დავიწყებთ ექვსი თვიდან 23 თვემდე ბავშვებისთვის სპეციალური 15-კომპონენტიანი მინერალებისა და ვიტამინების შემცველობის, კვებითი დანამატების დარიგებას. სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის ამას მთავრობა, რა თქმა უნდა, უფასოდ დაარიგებს. ეს იქნება მთელი რიგი დაავადებების პრევენცია და ბავშვის სწორი განვითარების ხელშეწყობა. ცოტა ხნის წინ ჩვენ დავიწყეთ ორსულებში ფოლიუმის მჟავისა და რკინის პრეპარატების დარიგება. ეს არის კიდევ ერთი ნაბიჯი ბავშვის სწორი განვითარებისთვის და დაავადებათა პრევენციისთვის. აღნიშნული პროდუქტი არ არის მაღალი საბაზრო ღირებულების, ამ ასაკობრივ ჭრილში 13 ათასი სოციალურად დაუცველი ბავშვია. უკლებლივ ყველა მათგანს 15-კომპონენტიანი ვიტამინებისა და მინერალების კვებითი დანამატი უფასოდ დაურიგდება, დანარჩენებს კი აფთიაქებში შეძენა შეუძლიათ. საბაზრო ღირებულება შემოსავლის მქონე არც ერთ ოჯახს არ დააწვება“, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

გასარკვევია და დასაცველია ბავშვთა უფლებები

ბავშვის ძალადობისაგან დაცვის მიზნით კანონმებლობაში ცვლილებები არ ასახულა — ამის შესახებ ლაპარაკია სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშის იმ ნაწილში, რომელიც ბავშვთა უფლებებს ეხება. ანგარიშში ასევე საუბარია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ძალადობისგან დაცვის, 5 წლამდე ასაკის ბავშვების სიკვდილიანობის, ინკლუზიური განათლების დანერგვის ხარვეზებსა და სხვა პრობლემურ საკითხებზე.

„ამ მხრივ აუცილებელია პრევენციისთვის გარკვეული ზომების მიღება. მათ შორის, სპეციალური სამოქმედო გეგმის და სტრატეგიის შემუშავება, რომ მოხდეს პრევენცია ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის. პრობლემები ხდება იგივე ძალადობის კუთხით, მათ შორის, ჩვენი წინადადება, რომ გამკაცრებულიყო ზოგადად კანონმდებლობა და უფრო დაცულიყო ბავშვი ძალადობისგან, ჯერჯერობით ეს რეკომენდაცია არ არის გათვალისწინებული. არ არსებობს ნორმალური კოორდინაცია სახელმწიფო უწყებებს შორის, როდესაც ბავშვთა ძალადობაზე ვსაუბრობთ“, — აღნიშნა უჩა ნანუაშვილმა.

როინ მეტრეველი

შვიდ სამეფოდ განწესებული

„რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია“

მეფე თამარი და შოთა რუსთაველი

ქართველმა ხალხმა თამარის პიროვნება იმთავითვე შოთა რუსთაველის სახელს დაუკავშირა. არა ერთი ხალხური გადმოცემა მიეძღვნა მათ სიყვარულს. რაჭაში სოფელ შქმერის მახლობლად, მაღალ, მიუვალ კლდეში გამოქვაბულია ჩაშენებული. გადმოცემით, ამ გამოქვაბულში თამარ მეფის აკვანი დგას და კლდეზე მისი გამოსახულებაა დაცული. ამ გამოქვაბულთან ასეთი თქმულებაა დაკავშირებული:

„თამარ მეფესა და რუსთაველს ერთმანეთი ბავშვობიდანვე უყვარდათ. შოთა რუსთაველი დიდებულის შვილი იყო, მაგრამ მეფის ასულს მაინც ვერავინ მიათხოვებდა. ამიტომ შოთა საქართველოდან გადაიკარგა. თამარმა ეს გამოქვაბული გააკეთებინა თავისთვის, როდესაც სიყვარულის დარდი განსაკუთრებით შემოაწვებოდა, თამარი შქმერის კლდეს მიაშურებდა — ე.წ. შოთას მთას, რომელიც შოთას სახელს აგონებდა და დარდს ამით იქარვებდა“ („თამარის კლდე და შოთას მთა“).

თამარი გამკითხავი და გამგონი ქალი იყო. იგი ბევრ საშინაო საქმეში ჩართულა და წარმატებით გადაუჭრია, თამარ მეფე წმინდანად მიიღო ქართველმა ხალხმა და პირიმზე შეარქვა. თამარ მეფის ყველა სიტყვა წმინდა და შეუცვლელი იყო ქართველი კაცისათვის.

თამარ მეფის სილამაზე ბევრ დიდებულს უძგერებდა გულს, ბევრს სურდა მისი ცოლად შერთვა, მათ შორის, არაქართველებსაც. ქართულმა ეპოსმა შემოგვინახა გადმოცემა იმის შესახებ, თუ როგორ სცა თაყვანი ოსმალოს დიდმა ფაშამ (იგი თამარის სიცოცხლეში მისი ცოლად შერთვის დიდი მოსურნე იყო) თამარის საფლავს ვარძიაში: **„ — ცოცხალიც დიდებული და ძლიერი იყავ და მიცვალებულიც არ ჰკარგავ შენს დიდებასა და ძლიერებას “ („თამარ მეფის საფლავი ვარძიაში“).**

გასათვალისწინებელია, რომ XVI-XVIII საუკუნეებში რუსეთში ფართოდ იყო გავრცელებული თქმულება „ივერიის დედოფალ დინარას“ შესახებ. ამ ძეგლმა მკვლევართა დიდი ყურადღება მიიქცია და მას არაერთი საგანგებო წერილი მიეძღვნა (მ. ბროსე, ა.ნ. პიპინი, ი.პ. სახაროვი, ა.ი. სობოლევსკი, მ.ნ. სპერანსკი, კ.ვ. ბაილევიჩი, ა.ა. ზიმინი და სხვ.).

ალნიშნული თქმულება საფუძვლიანად შეისწავლა და საგანგებოდ გამოიკვლია პროფესორმა იასე ცინცაძემ, რომელიც შემდეგ დასკვნამდე მივიდა: **რუსული თქმულება დინარ ივერთა დედოფალზე XVI საუკუნის მეორე ნახევარში დაწერილი ძეგლია. თქმულების წყაროდ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის ბასილი ეზოსმოძღვრის („ცხოვრება მეფეთ — მეფისა თამარისი“-ს ავტორის) თხზულებაა გამოყენებული. თქმულება ორიგინალური რუსული ნაწარმოებია, რომელიც XVI საუკუნის — ივანე IV-ის ხანის პოლიტიკურ მიზანდასახულობას ასახავს. თამარ მეფის ხანის საქართველოს პოლიტიკური ვითარება — მეფის უფლების „ღვთისნებაობა“ დიდებულთა სახელმწიფოებრივი ინტერესებით მოქმედება, მათი მეფესთან“ ერთიანობა და თანადგომა“ XVI საუკუნის რუსეთის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტისას მიმზიდველი ალმოჩნდა და ივანე IV-ის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მომხრეებმა თქმულებად გადაამუშავეს მაშინდელ რუსეთში მიღებული ფორმის მიხედვით** (ი. ცინცაძე, ძველი რუსული მასალები (XV- XVI სს.) საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 90) .

საინტერესო და მნიშვნელოვანია ის ამბავი, რომ სწორედ თამარის მოღვაწეობა, მისი საქმეები იქცა წყაროდ რუსული თქმულებისათვის. თქმულებაში არის ერთი ძალიან საინტერესო დეტალი: **„...და უბრძანა ქართველმა დინარ დედოფალმა, მთელ თავის ლაშქარს მზადება. ხოლო თვით, თვითმპყრობელი დედოფალი, შაბრენის მონასტერში გაემართა ღვთისმშობლის სალოცავად, მტრებზე შემწეობის მისანიჭებლად. ხოლო თვით იგი ფეხით წავიდა, ფეხშიშველი, ეკლით და წვეტიანი ქვებით მოფენილი საშინელი გზით და, როცა მოვიდა მონასტერში და ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ტაძარში შევიდა, დაეცა მუხლებზე (ღვთისმშობლის) ხატის წინაშე და წარმოთქვა ლოცვა .... “ (ვსარგებლობთ პროფესორ იასე ცინცაძის მიერ გამოცემული ტექსტით).**

პირდაპირი ნათესაობა იგრძნობა მოყვანილ ამბავსა და ბასილი ეზოსმოძღვრის მონათხრობს შორის: „ულოცა მათ და შეავედრა იგინი ღმერთსა, წარუძღვნა ძელი ცხოვრებისა და თანა წარატანა ანტონი ჭყონდიდელი. ხოლო თვით წარიხადნა და სამოსელნი ფერხთანი და შიშველი ფერხითა მიიწია ტაძრისა ღვთის მშობლისას მეტეხთა და წინაშე ხატსა მას წმინდასა მდებარე არა დასცხრებოდა ცრემლითა ვედრებად ...„(ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ — მეფისა თამარისი“, „ქართლის ცხოვრება“. (თბ., 2008, გვ. 491).

როგორც ვხედავთ, თამარის სახელი საქართველოს ფარგლებს გასცილდა. რუსმა ხალხმა თამარში გმირი, სამშობლოსათვის თავდადებული ქალი დაინახა:

— „მეგობრებო და ძმებო — მე თქვენზე უწინარეს მსურს, თავი დავდო ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის წილადხვდომილ ქვეყნისათვის, ჩემი ღვთისმოსავობისათვის, და მთელი ჩვენი სახელმწიფოს მართლმადიდებლობისათვის“ — აი, სიტყვები, რუსი ხალხის წარმოდგენაში არსებული, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ქართველი მეფე-ქალისა.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს თამარ მეფის შესახებ მუსლიმურ ქვეყნებში არსებული თქმულებები. რამდენიმე წლის წინ თურქულ ყოველკვირეულ ჟურნალში — „Sen Ben“, რუბრიკით — „დაუვიწყარი ქალები“ დაიბეჭდა შაჰბალ აიგენის „თამარ დედოფალი“. საინტერესოა, რომ თამარის სილამაზის წინაშე მუსლიმებიც

ომაზ ჩხეიძე. „ვეფხისტყაოსანი“ . (თამარი და შოთა)

ქედმოხრილნი არიან. „ლამაზთა შორის ულამაზესი“ , „ლეგენდარული დედოფალი“ — ამგვარადაა წარმოდგენილი თამარი მათ აღქმაში. თამარის „თავბრუდამხვევმა სილამაზემ, სამართლიანობამ, მაღალმა ზნეობამ არა მარტო ისტორიას, ლიტერატურასაც ბევრი შესძინა“, — ხაზგასმით აღნიშნავს ავტორი. თურქულ ჟურნალში დაბეჭდილი გადმოცემის მიხედვით თამარის შესახებ ლეგენდები დადიოდა არა მარტო აზიაში, არამედ ევროპის ყველა კუთხეშიც. მის ხელს ესპანეთიდანაც კი თხოულობდნენ . მუსლიმ ავტორებს საქმე ისე აქვთ წარმოდგენილი, თითქოს თამარი დიდი მოსურვე ყოფილა რუქნადინის ცოლობისა, ეს უკანასკნელი კი თავს იკავებდა. თავმოყვარე რუქნადინს (როგორც ლეგენდა გადმოსცემს) განუცხადებია მამისთვის: „გიაურის კეკლუცობას, თუნდაც დედოფლისას, არ ავყვები და ისლამის მხარეს არ მივატოვებ, მას ქედს არ მოვუხრი, ნება მომეცი წავიდე და დედოფალი თავისი ქვეყნიანად აქ მოგგვაროო“. კილიჩ არსლანს ნება მიუცია და რუქნადინიც სალაშქროდ წასულა, მაგრამ მის ცხენს ფეხი მოუტეხია და მხედრიანად კლდიდან გადავარდნილა, ახალგაზრდა რუქნადინი მძიმედ დაშავებულა და იძულებული გამხდარა, უკან დაბრუნებულიყო. ლაშქრობაც აღარ შემდგარა. ეს ლეგენდა სინამდვილისაგან შორს დგას, მაგრამ საინტერესოა, რადგან მასში მუსლიმის პოზიციიდან არის დანახული თამარ მეფე.

უამრავი ლეგენდა-გადმოცემაა შემონახული თამარის შესახებ აჭარაში, ჯავახეთსა და მესხეთში. ისტორიკოსი ზაქარია ჭიჭინაძე დაჰკვირვებია, რომ: ყველა კუთხის ქართველი ლაპარაკობს, რომ თამარ მეფე ჩვენს დიდ ეკლესიაში მარხიაო. მურღულელნი ამბობენ, რომ თამარ მეფე მურღულში მარხიაო, მაჭახელელნი — მაჭახელში, რაჭველნი — რაჭაში, ჯავახელნი — ჯავახეთში — თმოგვს. ამაზედ ამბობენ, რომ ვითომც თმოგვის ახლოს, მტკვრის პირს, ერთ ალაგას კუნძულის მსგავსი ჭალაკია. ადრე ამ ჭალაკზედ მტკვარი მდინარებდა. ერთ ალაგას მტკვარს გადაურეცხია და როცა დამშრალა, იქ გამოჩენილა ერთი საფლავი, სადაც თამარ მეფის კუბო და აკვანი მდგარა, კუბოს დამარხვის დროს აკვანიც შიგ ჩაუტანებიათო. ამ კუბოს და აკვანს ხალხი დიდხანს ხედავდა თურმე, მერე კი სალაცა გაქრა, ზეცისკენ წაიღეს ანგელოზებმაო .

თბილისში ასეთი გადმოცემაა ჩაწერილი: „თამარ მეფე წმინდა ქალი იყო. იგი წმინდანად არის შერაცხილი. იგი რომ გარდაიცვალა, ზეციდან ორო ანგელოზი ჩამოვიდა, ოქროს აკვანი ჩამოიტანეს, შიგ ჩააწვინეს, ზეცას გაფრინდნენ და თამარიც თან წაიყვანეს. ამიტომაც არის, რომ მისი საფლავი დედამიწაზედ არავინ იცის, იგი არსად არის, სადაც თამარ მეფე გარდაიცვალა, იმ ადგილას რამდენიმე ხანს ნათელი იდგა“.

„ბრმა — შობილმან ბრმადვე წარვლო უმხედვლომან თამარისგან. ტანსა ზომიერსა გრემანობა თუალთა, და ღაწუთა სპეტაკთა ზედა ვარდებრივ ფეროვნობა, მორცხჳ ხედვა, ლაღი მიმოხედვა, ტკბილი პირი, მხიარული და ულიზღო სიტყჳს სინარნარე და ზრახვისა უჩუკნობა. არა ცუდად დასდვა ღმერთმან მადლად თამარს ჵსრეთ შემკულობა“ — ბასილი ეზოსმოძღვრის ეს სიტყვები ნათლად წარმოგვიდგენს საქართველოს დედოფლის სიდიადეს და ნათელს ხდის იმას, თუ რატომ იქცა თამარი სილამაზის სიმბოლოდ, თუ რატომ შექმნეს ქართველმა მონუმენტურმა ფერმწერებმა ასეთი სიყვარულით თამარის პორტრეტები, რომელთაგან ოთხმა (ვარძიაში, ბეთანიაში, ყინწვისსა და ბერთუბანში) ჩვენამდე მოაღწია .

ქართველმა ხალმა, ქართულმა ეკლესიამ მაისის თვესთან — ამ სიცოცხლის გაფურჩქვნა-აყვავების, სიხარულისა და შვება-სიტკბოების თვესთან დააკავშირა მეფე თამარის ხსენება. მაისის პირველი დღე (ახალი სტილით 14 მაისი) არის წმინდანად შერაცხილი „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა“ მეფე თამარის ხსენების დღე.

ჩვენი ხალხის ცნობიერებაში თამარი ჩაიწერა როგორც ზეადამიანური პიროვნება. შთამომავლობა სიყვარულით ინახავს ხალხური შემოქმედების ძვირფას მარგალიტებს სრულიად საქართველოს სიმტკიცე-ძლიერებისა და კულტურული აღმავლობისათვის თავდადებით მებრძოლ გმირ მეფე-ქალზე, რომელსაც თანამედროვეებმა გულმხურვალედ უმღერეს:

თამარ ქალი,
ქვეყნის თვალი,
მზისა დარი.

აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე და დედოფალი, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითმფლობელი — ასე იწოდებოდა სრულიად საქართველოს მეფე თამარი, რომელმაც თავისი ზეობის პერიოდში, აქტიური საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებით, ქმედითი სახელმწიფოებრივი ღონისძიებებით განაგრძო ის მაგისტრალური გზა ქვეყნის განვითარება-აღმავლობისა, რომელსაც ასე წარმატებით ჩაუყარა საფუძველი და რეალური საქმიანობით განვითარების მწვერვალზე აიყვანა დავით IV აღმაშენებელმა.

მეფე თამარი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით პროგრესის შემოქმედი და მისი მატარებელი იყო. იგი, მიუხედავად სიმტკიცე-თვითმპყრობელობისა, ლმობიერი და მშვიდობიანი მმართველი იყო. სწორედ თამარის დროს ხდება სამართლის აშკარა ჰუმანიზაცია, მწვერვალს აღწევს ქველმოქმედება — „გლახაკთმოღვაწეობა“, ღვთისმოსავი მეფე აღწევს საეკლესიო სფეროს სრულ მოწესრიგებას. მეფე თამარი, მიუხედავად ფეოდალთა არაერთი წინააღმდეგობისა, ახერხებს მათზე სამეფო ხელისუფლების რეალური უპირატესობის შენარჩუნებას. თამარის მოღვაწეობა პროგრესული იყო იმითაც, რომ იგი მთლიანად ემსახურებოდა სახელმწიფოს სიძლიერისა და მისი ხელისუფლების ცენტრალიზაციის საქმეს .

ისტორია იქმნება სწორედ იმ პირთა მოქმედებისაგან, რომლებიც ჭეშმარიტი მოღვაწეები არიან. მეფე თამარი მსოფლიო ჭეშმარიტ მოღვაწეთა შორისაა. ამდენად, იგი იმ პიროვნებათა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც რეალურად ქმნიდნენ ისტორიას. მეფე თამარის მოღვაწეობამ საქართველოს უდიდესი წარმატებები მოუტანა და იგი მტკიცედ დაამკვიდრა წინა აზიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს ქვეყანათა რიცხვში.

სამარადისოდ შეინახა ქართველმა ხალხმა დიდი მამულიშვილისა და საქართველოსთვის დამაშვრალი მეფე-ქალის ხსოვნა. მეფე თამარი მტკიცედ დამკვიდრდა შთამომავლობის შემეცნებაში, ვითარცა „დედოფალი დედოფალთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა... მესიის თაყვანისმცემელი“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 36, 41, 44, 49, 54, 59, 64, 69, 74, 79, 82, 86, 91, 96

ანონსი

მომავალ ხუთშაბათს: „რუსთაველის ეპოქის კულტურა“.

ამირან რევიშვილმა სიკვდილზე გაიმარჯვა

ყოველ წუთს დედამიწაზე უცბად ათი კაცი კვდება. რა არის ამის მიზეზი, შესაძლებელია თუ არა ასეთი სიკვდილის წინასწარმეტყველება? ამის თაობაზე საუბრობს ა.ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი, გულით მოულოდნელი სიკვდილის მთავარი სპეციალისტი ამირან რევიშვილი.

იგი მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერია, მან შექმნა უნიკალური ხელსაწყო, რომელიც გულის უეცარი გაჩერების შემთხვევაში პაციენტს კურნავს.

— გულით უეცარი სიკვდილის მიზეზი მისი მოქმედების შეწყვეტაა, რომელიც პირველი სიმპტომების გაჩენიდან ერთი საათის განმავლობაში დგება, — ამბობს დოქტორი რევიშვილი. — სადღეისოდ ჩვენთვის ამ მოვლენის რისკ ფაქტორების 40 პროცენტია ცნობილი. ეს უფრო ხშირად ფარულად მიმდინარე სნეულებების— იშემიური დაავადების ან ჰიპერტროფული კარდიომიოპათიის (გულის კუნთის გამსხვილების) შედეგია, რის გამო სპორტსმენები ზოგჯერ შეჯიბრის დროს იღუპებიან. უეცარი სიკვდილის საფრთხის წინაშე დგანან მიოკარდის ინფარქტიანი პაციენტები, რომლებმაც ერთხელ უკვე გადაიტანეს კლინიკური სიკვდილი, მაგრამ, უბედურება ისაა, რომ რისკ-ფაქტორთა დანარჩენი 60 პროცენტის გამოვლენის შესაძლებლობას დღესდღეობით დიაგნოსტიკის არც ერთი მეთოდი არ იძლევა.

ბევრ ქვეყანაში **(მათ შორის, როგორც ჩანს, ჩვენშიც — რედ.)** მხოლოდ იმ ავადმყოფთა გადარჩენაა შესაძლებელი, ვინც უეცრად კლინიკაში გარდაიცვლება. თავის ტვინი გულის გაჩერებიდან 5-6 წუთში კვდება, რა დროშიც პაციენტამდე მიღწევას ვერც ერთი „სასწრაფო“ ვერ ახერხებს. დასავლეთში კი, იმის წყალობით, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გარე დეფიბრალატორებია დაყენებული (ესაა ელექტრული მუხტის — შოკის მიმყენებელი ხელსაწყო), თავს აღწევს სიკვდილს პაციენტების 5 პროცენტი.

> **თავის ტვინი გულის გაჩერებიდან 5-6 წუთში კვდება, რა დროშიც პაციენტამდე მიღწევას ვერც ერთი „სასწრაფო“ ვერ ახერხებს.**

გულთან დაკავშირებულ მრავალ სხვა პრობლემასთან ერთად, ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებულია **არითმია**. გულისცემის რითმის დარღვევისგან დაზღვეული არავინაა (სტატისტიკურად მას ყოველი მესამე ადამიანი უჩივის), მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მათ ყველას უეცარი სიკვდილის საფრთხე ემუქრება. რისკის ჯგუფში არიან არითმიის სახიფათო ფორმების მქონე პაციენტები — **ისინი, ვისაც პარკუჭოვანი ტაქიკარდია, მოციმციმე არითმია** (რომლის დროს გულისწინა არეში თრომბები წარმოიშვება, რომლებიც იშემიური ინსულტების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია) და **ბრადიკარდია** სჭირს (ეს უკანასკნელი იშვიათია — წუთში 30-40 გულისცემაა). **ამჟამად არითმიის ყველა ეს სახეობა წარმატებით იკურნება.**

აღსანიშნავია, რომ დოქტორმა ამირან რევიშვილმა თავისი უნიკალური ხელსაწყო — იმპლატირებული დეფიბრალატორი, 1996 წელს, რუსეთში დააპატენტა, თუმცა კი მას დასავლეთში უშვებენ. იგი გულს არა მარტო უეცარი



სიკვდილისგან იცავს, არამედ მის მრავალსაკნიან ელექტრულ სტიმულირებას ახდენს და საიმედობის უმაღლესი დონით გამოირჩევა.

— 90-იანი წლების დასაწყისში არითმიას ქირურგიულად გადახსნილ გულზე ოპერირებისას კურნავდნენ, რის შემდგომ პაციენტს სარეაბილიტაციოდ დიდი დრო სჭირდებოდა, — განაგრძობს დოქტორი რევიშვილი. — ჩვენ ზედაპირული კომპიუტერული დასურათების მრავალარხიანი პროცედურა შევიმუშავეთ, რომელიც არითმიის წყაროს მილიმეტრამდე სიზუსტით დადგენის საშუალებას გვაძლევს, რის შემდგომ მას კათეტერული პროცედურით აღვადგენთ.

ჩემი ოცნებაა არითმიის დისტანციურად განკურნვა, რა მიმართულებითაც ექსპერიმენტები წარმატებით მიმდინარეობს, რაც იმის საფუძველს მაძლევს, რომ განვაცხადო — ეს არითმიაზე საბოლოო გამარჯვება იქნება.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

მილებაზე ექიმთან

პეტრე ბაგრატიონი

ბოროდინოს ბრძოლის დროს ბაგრატიონი ბირთვის ნამსხვრევისგან დაიჭრა. გადასახვევ პუნქტში ექიმმა დაათვალიერა ჭრილობა, შეამოწმა მისი სიღრმე ვერცხლის ზონდით და შეუხვია.

ამბულატორიული ავადმყოფის სამედიცინო ბარათი

დიაგნოზი: დიდი წვივისა და თეძოს ძვლების მოტეხილობა ცეცხლსასროლი იარაღით

საქმიანობა: გენერალი

დაბადების თარიღი: 1765 წელი

გარდაცვალების თარიღი: 1812 წელი

ბოროდინოს დღე

ეს იყო აგრეთვე ბირთვის ნამსხვრევი, რომლის ამოღებაც არ დაუწყიათ, ვინაიდან ავადმყოფის მდგომარეობა მძიმე იყო და, რაც მთავარია, იჩქაროდნენ უკან დახევას — ეშინოდათ მტრის ალყისა. სხვათა შორის, მაშინ ეს მკურნალობის ჩვეულებრივი ტაქტიკა იყო — ჭრილობის დაჩირქების დროს უცხო სხეულები თავად უჩვენებდნენ თავიანთ თავს (ჩირქს გარეთ გამოჰქონდა).

მეორე დღეს თავადი ბაგრატიონი მოსკოვში წაიყვანეს. გაურკვეველი მიზეზით მას არ დაადგეს სალტე დაზიანებული ფეხის ფიქსაციისთვის, თუმცა უკვე მაშინ ფართოდ იყენებდნენ არტახებს — ნაჭრით შემოხვეული პატარა ფიცრებით. ბაგრატიონი გადაყვანის დროს იჯდა უსწორმასწორო გზაზე, ჭრილობა ძალიან სტკიოდა და სწრაფად ჩირქდებოდა. დაეწყო ალმური.

მოსკოვში სასწრაფოდ მოიწვიეს ყველაზე ცნობილი ექიმების კონსილიუმი და ავადმყოფს უკვე მესამედ ჩაუტარეს ჭრილობის ზონდირება.

განგრენა

ბაგრატიონს რამდენჯერმე შესთავაზეს ამპუტაცია, რომელსაც იგი აღშფოთებით უარყოფდა. თავადმა ითხოვა, გადაეყვანათ ის ვლადიმირის გუბერნიის სოფელ სიმში, მეგობარი თავადის ბ.ა.გოლიცინის მამულში. იქ მას 8 სექტემბერს გაუკეთეს ოპერაცია. ჭრილობა გადაჭრეს სიგანეზე, ამოუღეს უცხო სხეულები, გადაუხვიეს ჭრილობა, აძლევდნენ ოპიუმსა და ქინაქინს... ასეთი ოპერაცია უმალვე რომ გაეკეთებინათ, გენერლის გადარჩენა შეიძლებოდა.

მალე თეძოზე შავი ლაქები გაჩნდა, რომლებიც მიუთითებდნენ განგრენის განვითარებაზე. ბაგრატიონმა მისცა თანხმობა ამპუტაციაზე, მაგრამ ექიმებმა ვერ გაბედეს მისი გაკეთება ავადმყოფის „ძალების უკიდურესი დასუსტების გამო“.

11 სექტემბერს პეტრე ივანეს ძე უკარნახებს ანდერძს და მეორე დღეს გარდაიცვლება.

თანამედროვე მიდგომა

ამგვარი ჭრილობის დროს დაზიანებულ ფეხს ადებენ ჩალიჩს, ჭრილობას — ასეპტურ მჭიდრო შესახვევს. გართულების თავიდან ასაცილებლად ჭრილობის პირველადს ქირურგიულ დამუშავებას აწარმოებენ საერთო ნარკოზის ქვეშ, სისხლის გადასხმით სხეულში შეჰყავთ გულისა და მატონიზებელი საშუალებები, აძლევენ გაშეშების საწინააღმდეგო შრატს და ანტიბიოტიკებს. პროგნოზი სასიკეთოა.

ჯერალდ დარელი

ამბულატორიული ავადმყოფის სამედიცინო ბარათი

დიაგნოზი: ღვიძლის ციროზი

საქმიანობა: მწერალი

დაბადების თარიღი: 1925 წელი

გარდაცვალების თარიღი: 1995 წელი

მიდრეკილება თრობისადმი, ისე როგორც ალკოჰოლიზმისადმი, ჯერალდს გადაეცა დედისგან, ვის შესახებაც ის არაერთგზის და აღტაცებით წერდა, ტაქტიკურად არ მიუთითებდა ბოთლისადმი მის სიყვარულს.

ვისკისთან ერთად ცხოვრებაში

დარელი 30 წლისა მძიმედ დაავადდა ჰეპატიტით და იძულებული იყო, გარკვეული დროის განმავლობაში გაეძლო უალკოჰოლოდ, გამოჯანმრთელების უმალვე ის ცხოველების დასაჭერად აფრიკაში გაემგზავრა და იქ ყოველდღე თითო ბოთლ ვისკის სვამდა. იმანაც კი, რომ ის დაავადდა რომელიღაც ტროპიკული ინფექციით, რამაც აუცილებლად ჩაითრია ღვიძლიც, ვინაიდან კანი და სკლერაც გაყვითლდნენ, ვერ აიძულა იგი უარი ეთქვა დალევაზე. მოგზაურობებმა ეგზოტიკურ ადგილებში ასევე „შეამკეს“ ჯერალდი მალარიით, ციებ-ცხელებით, ანემიითა და დიზენტერიით.

დარელი ხშირად მკურნალობდა ალკოჰოლიზმზე, მაგრამ იმდროინდელ სამკურნალო საშუალებებს აუცილებლად უმატებდა ვისკის გვარიან პორციას, რითაც მას თაყვანისმცემლები ამარაგებდნენ.

ტრანსპლანტაცია

პირველ ცოლ ჯეკისთან განქორწინების შემდეგ არც თუ ახალგაზრდა მწერალი 27 წლის სერიოზულმა ზოოლოგმა ლი მაკჯორჯმა გაიტაცა. დარელმა უფრო ცოტას სმა დაიწყო, მაგრამ 60 წლისათვის მას მოულოდნელად გაუჩნდა ძლიერი ტკივილები მუცელში და სისხლდენა ცხვირიდან. დიაგნოზი — ღვიძლის ციროზი.

ალკოჰოლური ციროზის ღვიძლის კიბოსთან უსათუო კავშირის გათვალისწინებით, დარელს შესთავაზეს ამ ორგანოს ტრანსპლატანცია. ათსაათიანმა ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ მას შემდეგ კუჭ-ნაწლავთა ინფექციის შეერთების გამო განვითარდა სეფსისი.

სეფსისის მკურნალობისთვის ექიმებმა მინიმუმამდე შეამცირეს იმუნოდეპრესანტების დოზა და დაიწყეს ანტიბიოტიკების შეყვანა ორგანიზმში. ამან უშველა. მაგრამ უკვე რამდენიმე თვის შემდეგ მწერალი რეანიმაციაში მოხვდა, შემდეგ კიდევ ერთხელ... ბოლოს და ბოლოს, ლიმ მიიღო გადაწყვეტილება გამოერთო ქმარი ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის სისტემიდან.

თანამედროვე მიდგომა

ღვიძლის ციროზის დროს მკაცრად უნდა დავიცვათ დიეტა და მთლიანად გამოვრიცხოთ ალკოჰოლი. ნიშნავენ პრეპარატებს, რომლებიც ღვიძლის უჯრედების სიცოცხლის გაგრძელებას ეხმარებიან. შიგნით შეჰყავთ სისხლის პრეპარატები და ელექტროლიტების ხსნარები. ღვიძლის უჯრედების კვებისათვის ურჩევენ B და C ვიტამინებს, სხვადასხვა მჟავებს.

პროცესის სტადიის შესაბამისად უნიშნავენ ჰორმონებსა და სადეზინტოქსაციო თერაპიას. ცირზისა და კიბოს გარკვეული სახეობების დროს რეკომენდებულია ღვიძლის გადანერგვა.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

კარტ-ბლანში. საქართველო: ნატო ალტერნატივის გარეშე

ნატოს ვარშავის სამიტის წინ საერთაშორისო გაერთიანების ყურადღება აქცენტირებულად გადაადგილდება მდგომარეობისაკენ შავი ზღვის რეგიონში. აქ ახლაც მიმდინარეობს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროცესები. მათში საქართველო, უნდა ითამაშოს თუ არა მთავარი როლი, როგორც მინიმუმი, მაინც აქტიურად უნდა იყოს ჩართული. საქართველო და მისი პარტნიორები ამ ისტორიულ მომენტში განსაკუთრებით სჭირდებიან ერთმანეთს. ნატოში შეშფოთებული არიან შავ ზღვაში რუსეთის სამხედრო ყოფნის ზრდით, საუბრობენ იმის აუცილებლობის შესახებ, რომ საჭიროა გაძლიერდეს კოორდინაცია, განიხილავენ ქვეყნების შავი ზღვის ფლოტილიის შექმნის შესაძლებლობას საქართველოსა და უკრაინის მოზიდვით.

ვარშავის წინ ბევრი სვამს შეკითხვებს: **რატომ აირჩია საქართველომ ნატო და თანმიმდევრულად მოძრაობს ამ გზაზე, არის თუ არა ალტერნატივა? შესაძლებელია თუ არა, ვთქვათ, აერჩია ნეიტრალიტეტი?**

ამასთან დაკავშირებით, როდესაც საქართველომ ახლახან აღნიშნა დამოუკიდებლობის 25 წლისთავი, დროულია თუ არა გავიხსენოთ, რომ ჩვენი გზა ნატოსკენ დაიწყო 1994 წელს პროგრამით „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. პირველად ოფიციალურად განზრახვის შესახებ — შევიდეს ალიანსში — მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, ჯერ კიდევ 1997 წელს: „2005 წლისთვის საქართველო დააკაკუნებს ნატოს კარზე“. დაიწყო ქართველი ხალხის ისტორიული ოცნების რეალიზაცია, გაიზარდა ბევრი თაობის მისწრაფება პროგრესისაკენ, დასავლური ცივილიზაციისკენ, დემოკრატიული იდეალებისა და ღირებულებებისკენ. ნატო ხომ ჩვენთვის — ეს არა მხოლოდ სამხედრო ალიანსია, ეს არის დემოკრატიულ ხელისუფლებათა პოლიტიკური კლუბი. თავად ინტეგრაციის პროცესი უსასრულოდ სასარგებლოა ქვეყნისთვის, რომელსაც სურს რეფორმირება და მოდერნიზება ყველაზე მაღალი სტანდარტებით, — გახდეს ინსტიტუციონალური დემოკრატია.

და აი თანდათანობით, რომანტიზმიდან, საქართველო მივიდა კონკრეტულ შედეგებამდე. დღეს ქართველი სამხედროები გმირულად მსახურობენ ნატოს ყველაზე სახიფათო მისიებში. დასავლური სამყარო ხომ ჩვენ გვაღიარებს ღირსეულად, თანაბარ პარტნიორებად. ნატოს ქვეყნები გვეხმარებიან განვამტკიცონ თავდაცვისუნარიანობა. დამახასიათებელია ამ თვალსაზრისით საფრანგეთის მაგალითი, რომელმაც მოგვანიჭა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის თანამედროვე სისტემები. როდესაც საუბრობენ ევროსკეპტიკოსების შესახებ ნატოში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებით, ხომ მხედველობაში ჰყავთ საფრანგეთიც. მაგრამ საქართველოს მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკამ 2012 წლის შემდეგ საშუალება მისცა ჩვენს ქვეყანას მიეღო მნიშვნელოვანი პრეფერენციები იმ ქვეყნებისგანაც კი,

თბილისის არჩევანი დასავლეთისკენ ისტორიულ მისწრაფებასთანაა დაკავშირებული

რომლებსაც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ეშინოდათ ჩვენთან თანამშრომლობისა.

არის კი ალტერნატივა? რას გვთავაზობს ჩვენ მეორე „მოთამაშე“ — რუსეთი, რომელიც აკონტროლებს საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტს? ფორმულას: „ან ჩემთან, ან ჩემს წინააღმდეგ“. და რა არის ასეთ პარადიგმაში? კონფლიქტების მოწესრიგება? ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა? არა და კიდევ ერთხელ, არა! კრემლის პოლიტიკა საქართველოსთან დაკავშირებით სრულ დისონანსშია ჩვენი ხალხის არჩევანთან.

ამავე დროს დღეს, როდესაც საკითხი შეეხება ახალი ევროპული უშიშროების არქიტექტურის პრინციპებს, ჩვენ, როგორც პასუხისმგებელ პარტნიორებს, კარგად გვესმის, რომ თავად ალიანსში არ არის ერთიანობა რუსეთთან ურთიერთობის საკითხში. ასე რომ, საქართველოს ნატოში მომავალი წევრობის პრობლემა უნდა განვიხილოთ ამ დისკურსშიც, თანამედროვე ისტორიულ-პოლიტიკურ კონტექსტში, და არა როგორც თანამშრომლობის დილემა: ან ნატოსთან, ან რუსეთთან...

არის საქართველოში ასეთი საუბრებიც: **„რისთვის გვჭირდება ნატო, იქ ჩვენ, სულ ერთია არ მიგვიღებენ. ჯერ ერთი, დადგება ისტორიული პერსპექტივის მომენტი, და საქართველო აუცილებლად შევა ნატოში. ალიანსის ღია კარის პოლიტიკა რეგულარულად პოულობს დადასტურებას. მეორეც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს მაღალ სტანდარტებთან მიყვანის თავად პროცესს აქვს ჭეშმარიტად საბედისწერო მნიშვნელობა ჩვენი სახელმწიფოს მომავლისათვის. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა ზრდისა და განვითარებისათვის, და ჩვენ კიდევ მოგვიწევს მისი ეფექტურად გამოყენება.**

რაც შეეხება ნეიტრალიტეტს, ცნობილია, რომ იგი შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტულ მეზობლურ გარემოცვაში დიდი სახელმწიფოების კონსენსუსისა, რომლებიც გარს ეკვრიან მცირე სახელმწიფოს და არ გამოიყენონ ეს ქვეყანა რომელიმე მათგანის წინააღმდეგ. არ ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე ამერიკის შეერთებულ შტატებს, ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოს, ირანს, რუსეთს ან თურქეთს შეეძლოთ მიეღწიათ ასეთი შეთანხმებისათვის ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ პირობებში...

ამრიგად, საქართველოს არჩევანი შეგნებულია. ამავე დროს ჩვენ გვესმის, რომ გზა ნატოსკენ და ალიანსის წევრობაც კი — ეს არ არის საშინაო პრობლემების გადაწყვეტა, მათ შორის ტერიტორიულისაც. ჩვენ ეს არჩევანი გავაკეთეთ იმისათვის, რომ მეგობრებისა და პარტნიორების დახმარებით გავხდეთ სასარგებლო და საჭირო სახელმწიფო საერთაშორისო გაერთიანებისათვის, ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფო.

როდესაც ვაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, ნატო (და ევროკავშირიც, რასაკვირველია) — ჩვენთვის ეს არის განვითარების მოდელი. რუსეთის სამხედრო ყოფნა ჩვენს ტერიტორიებზე არსებითად ხომ გახდა ჩვენი ქვეყნების მიერ განვითარებისა და ღირებულებათა შკალის განსხვავების კვინტესენცია. ჩვენ ვიბრძვით ხარისხოვანი დემოკრატიისათვის, კანონის უმაღლესობისათვის, იმისთვის, რომ ვიყოთ თანამშრომლობის რეგიონალური ადგილი. ესაა რეფორმების ურთულესი გზა, და უნდა მივიდეთ მის ლოგიკურ დასასრულამდე. და, უწინარეს ყოვლისა, ეს უნდა გავაკეთოთ ჩვენ თვითონ — საქართველოს მოქალაქეებმა. ნატოს, ევროკავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ დაგვეხმარონ, მაგრამ არავინ ამას არ გააკეთებს ჩვენს მაგივრად.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

ფინეთში სამხედრო სწავლება რეალურ შემოჭრად მიიჩნიეს

დესანტის ღამის გადმოსხმამ დააბნია კუნძულ კამსხოლმენის მცხოვრებლები. ერთ-ერთმა კუნძულელმა, როდესაც დაინახა რაზმი ხელში ზურგჩანთებითა და იარაღის მსგავსი საქონლით, მიმართა მაშველებს. ფინეთის პრესაში ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, ქვეყნის თავდაცვის სამინისტრომ უბრალოდ დაივიწყა მიეწოდებინა ინფორმაცია ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის დაგეგმილი მანევრების შესახებ.

ისლამური სახელმწიფოს ბოევიკებმა დაიწყეს ბრძოლა თანამგზავრულ თეფშებთან

ისლამისტებს მიაჩნიათ, რომ სატელევიზიო მოწყობილობა შეიძლება გამოყენებული იქნეს მათი მოწინააღმდეგეების მიერ საჰაერო დარტყმების მიყენებისათვის ისლამური სახელმწიფოს ობიექტებზე. კომპანიამ ანტენების განადგურების შესახებ უკვე აიღო სტარტი ქალაქებში რაკა (სირია) და მოსული (ერაყი).

ჩინელი მოზარდი გაფრინდა დუბაიში, რათა გამხდარიყო ბედნიერი მათხოვარი

16 წლის სიუიმ გადაწყვიტა ჩასულიყო დუბაიში, როდესაც გაიგო, რომ მათხოვართა წლიური შემოსავალი რამდენიმე ათეულ ათას დოლარს შეადგენს. მოზარდს ესმოდა, რომ კონტრაბანდულ მოგზაურობას შეიძლება ჰქონოდა შედეგები, მაგრამ იცოდა, რომ დუბაიში კარგად ეპყრობიან პატიმრებს.

„გინდა, დაეცე მუხლებზე და ილოცო“: სავჩენკოს ღირსებისათვის ჰიმალაიში მთის მწვერვალს შეარქვეს ეს სახელი

როგორც უკრაინელმა სპორტულმა ჟურნალისტმა ვალენტინ შჩერბაჩოვმა განაცხადა, მან გადაწყვიტა ერთ-ერთი მთისთვის დაერქმია ნადეჟდა სავჩენკოს სახელი, ვინაიდან ეს ქალი ორი წლის განმავლობაში „ციხეებში“ ებრძოდა სისტემას. მისი სიტყვებით, იგი 20-ზე მეტი წლის განმავლობაში ემუდარებოდა ნეპალის ხელისუფლებას მიეცათ მისთვის შესაძლებლობა დაერქმია ერთ-ერთი მწვერვალისათვის უკრაინული სახელი.

ევროკომიის მეთაურმა განაცხადა, რომ მისი ვიზიტი რუსეთში არ არის დაკავშირებული სანქციების შესაძლო გაუქმებასთან

„ჩემი ვიზიტი სანკტ-პეტერბურგში, რაც უფრო ეკონომიკური, ვიდრე პოლიტიკური ხასიათისაა, არ გახდება საბაბი ევროკავშირისათვის, რომ გამოვაცხადოთ რაიმე ცვლილებების შესახებ ჩვენს ურთიერთობებში რუსეთთან“, — თქვა ჟან-კლოდ იუნკერმა, როდესაც კომენტარს უკეთებდა მომავალ გამგზავრებას პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე.

კლინტონი მოუწოდებს სანდერსს, გაერთიანდნენ ტრამპის წინააღმდეგ

კონკურენტების წინასაარჩევნო შტაბები ნომინაციების მიხედვით განიხილავენ ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული ძალების გაერთიანების შესაძლებლობას მილიარდერი რესპუბლიკელის დაპირისპირებისათვის, განაცხადა ჰილარი კლინტონმა სი ენ ენისთვის მიცემულ ინტერვიუში. იგი გვპირდება, „გააკეთოს ყველაფერი, რათა ტრამპი ვერ მოხვდეს თეთრ სახლში“.



უცნობი გენერალისიმუსი...

სტალინი. პირადი ცხოვრება

ოქტეტი ტიბინის ჩანაწერები

სტალინის „რკინის კარი“


სტალინი აგარაკზე რიწაში.

სტალინი უფრო მეტად ფანჩატურში ან აივანზე მუშაობდა – ზამთარშიც კი, ოღონდ, თბილად ჩაცმულს ტყაპუჭი და ნაბდის ჩექმები ეცვა. თქვენ წარმოიდგინეთ, ნაბდის ჩექმები მთელი სამი წყვილი ჰქონდა. გარდა ამისა, კიდევ ახლებიც შეუკერეს. იმის გამო, რომ მაგიდასთან დიდი ხნის ჯდომისგან ფეხები სტკიოდა, კრემლიდან მოვიდოდა თუ არა, გათოშილ ფეხებს მაშინვე იმ თბილ, ღუნღულა თექის ჩექმებში ჩაყოფდა.

სამაგიეროდ საგარეო ფეხსაცმელი მხოლოდ ერთი წყვილი ჰქონდა, ისიც ომამდელი – ტყავი დაშაშრული იყო, ლანჩა გალეული, მოკლედ, ჩასაცმელად უკვე აღარ ვარგოდა. სამსახურში, მიღებებზე, თეატრსა თუ სხვა ხალხმრავალ ადგილებში სტალინს ყველგან ეს ფეხსაცმელი ეცვა, რის გამოც თავს ყველა უხერხულად ვგრძნობდით. გადავწყვიტეთ, მისთვის ახალი ფეხსაცმელი შეგვეკერინებინა. და აი, მატრიონა ბუტუზოვამ ახალი ფეხსაცმელი დაუწყო და ძველები ოთახიდან გაიტანა. დილით სტალინმა ორლოვს დაუძახა და წყნარად ჰკითხა:

– ჩემი ფეხსაცმელი სად არის?!

– ამხანაგო სტალინ, თქვენ ხომ ჩვენი პარტიის გენერალური მდივანი ხართ, მთავრობის ხელმძღვანელი. თქვენ ხომ გამუდმებით საზოგადოებაში გიწევთ ყოფნა, ყოველდღე უცხოეთის ელჩებს და სტუმრებს ღებულობთ, თან ახლა საიუბილეო დღესასწაულებია კარს მომდგარი, – გაცხარებული უტევდა ორლოვი, რომელიც უკვე მიჩვეული იყო, რომ ბელადი ზოგჯერ ყურად იღებდა ხოლმე მის რჩევას.

– აჯობებს, დამიბრუნოთ ჩემი ფეხსაცმელი, – შეაწყვეტინა სტალინმა. მის შემდეგ ბოლომდე ის ფეხსაცმელი ეცვა. კიდევ კარგი, მატრიონა ფეხსაცმელს საცხით აპრიალებდა და ცოტა აახლებდა.

* * *

ვიმეორებ – არავითარი რკინის კარი, გარდა ბომბსაფარისა, სხვა ისეთი აგარაკზე არაფერი არსებობდა, ყველა შიდა კარი ან მთლიანად ხის იყო, ან ნახევრად შემინული. ზალასა და კაბინეტს შორის კარიც ზუსტად ისეთივე იყო, თან ჰაერს თავისუფლად რომ ემოძრავა, ყოველთვის ღია, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, ჩვეულებრივი ინგლისური საკეტით –„ლინგით“ იკეტებოდა და კარის გასაღები ან კომენდანტს ჰქონდა, ან მორიგე ოფიცერს. არ არსებობდა შენობაში შიდა ჩაკეტვის არავითარი ზერთული სისტემა, რომლის გახსნა სტალინის გარდა არავის შეეძლება, ისიც სპეციალური ელექტრომოწყობილობით, როგორიც შენობაში საერთოდაც არ არსებობდა. ისე რომ, ესეც გაწაფული მთხზველების რიგითი ანეკდოტი გახლდათ.

მის საწერ მაგიდაზე ყოველთვის სანიმუშო წესრიგი სუფევდა, დოკუმენტები და საკანცელარიო ნივთები თავ-თავის ადგილას ყოველთვის მოწესრიგებულად ელაგა. სტალინმა ზუსტად იცოდა, არასოდეს ავიწყდებოდა, სად რა იდო და რა, იმის გადაადგილების უფლებას არავის არ აძლევდა. დალაგების შემდეგ მატრიონა ბუტუზოვაც ყველაფერს ისევ აკურატულად დებდა თავის ადგილას. რაც შეეხება დაშენებულ მეორე სართულს, ის ყოველთვის ცარიელი იყო, ორლოვთან ერთად იქ მხოლოდ ორჯერ თუ ასულა და არ იცოდნენ რა ექნათ, რით დაეკავებინათ ის ადგილი, სტალინის წინანდელი საძინებლის გვერდით პირსაბანი და აბაზანა იყო, მაგრამ ის იქ როდის შედიოდა და როდის იყო იქ, არავის არ უნახავს.

ამას ასე ხაზგასმით იმიტომ ვამბობ, რომ ხრუშჩოვთან ამის შესახებ სულ სხვას ამოიკითხავთ. აი, ამის ერთი მაგალითი: **„ერთხელ ისეთი ფაქტის მოწმე გავხდი, რაც ძალიან არ მესიამოვნა. სტალინი ფეხსალაგში შევიდა. დაცვა, უკან ფეხდაფეხ მიჰყვა, მაგრამ შიგ არ შესულა, სტალინი იქიდან რომ გამოვიდა, იმ ადამიანს ჩვენ თვალწინვე ეცა და დატუქსვა დაუწყო: „თქვენს მოვალეობას, რატომ არ ასრულებთ? თქვენ ჩემი დაცვა ხართ და უნდა მიცავდეთ, თქვენ კი ზიხართ აქ გამოჭიმული. მცველმა თავის მართლება დაიწყო: ამხანაგო სტალინ, მე ხომ ვიცი, რომ იქ კარი არ არის, აი, ეს ერთი კარია, იმ კართან კი ჩემი ის კაცი დგას, რომელსაც დაცვა ევალება“... „ჩემთან თქვენ უნდა იყოთ!“ – უთხრა ისევ უხეშად სტალინმა... ის, რომ დაცვა სტალინს ტუალეტშიც დაჰყვებოდა, თქვენთვის ეს, ალბათ, წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ დაცვის გარეშე მას ტუალეტში შესვლისაც ეშინოდა და ეს, რა თქმა უნდა, ავადმყოფი გონების შედეგია“.**

დიახ, ოღონდ მხოლოდ ხრუშჩოვის ავადმყოფი გონებისა!

პირველსა და მეორე სართულზე დივნებსა და იატაკზე ათობით სხვადასხვა ფერის პატარა ნოხი ეგო. საწყობში ინახებოდა კიდევ ერთი, უცხოელების ნაჩუქარი, ვერცხლის ძაფით ნაქსოვი ხალიჩა. გარდა ამისა, სტალინს სამოცდაათი წლის იუბილესთან დაკავშირებით მოართვეს შვიდი მეტრი სიგანისა და ათი მეტრი სიგრძის მართლაც, უიშვიათესი ხალი, რომელსაც ხუთასამდე სხვადასხვა ელფერი დაჰკრავდა. ამბობენ, იმ ხალს მთელი სამი წელიწადი ოცდაათი ყველაზე საუკეთესო აზერბაიჯანელი ოსტატი ქალი ქსოვდაო... ის ხალი აგარაკში მხოლოდ ერთხელ ნახეს, ისიც მაშინ, როცა რომელიღაც მუზეუმში მიჰქონდათ.

სწორედ მაშინ აჩუქეს საუკეთესო არაბული ბედაურიც, რომელიც ორლოვმა მხოლოდ ერთხელ შეაბა მარხილში და სტალინმა სტუმრებთან ერთად აგარაკის ტერიტორიაზე გაისეირნა, რის შემდეგაც ცხენი ზუბალოვოში გააგზავნეს, მაგრამ, ვინ დააჭენებდა იქ იმას, არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ მისთვის საიუბილეოდ გამოგზავნილი მთელი იმ უამრავი საჩუქრიდან მხოლოდ ნაბადი და ხელთათმანები დაიტოვა.

* * *

ემყარებოდნენ რა ანეკდოტებს რკინის ყუთსა და ჯავშნიან კარზე, რის მსგავსიც, როგორც ხედავთ, სინამდვილეში არაფერი ყოფილა, ზოგიერთი სპეციალისტი ხრუშჩოვთან ერთად ავტორიტეტულად აცხადებდა, სტალინი არამყარი ფსიქიკის ადამიანიაო. ჩემთან შედარებით ორლოვი და ლოზგაჩევი სტალინთან გაცილებით დიდხანს მუშაობდნენ და ისინი ერთხმად აღიარებენ, რომ სტალინმა ზოგჯერ მართლაც იცოდა გაფიცხება, მაგრამ მაშინვე გადაუვლიდა. მისთვის მთავარი სიმართლე იყო, თუნდაც ეს სიმართლე ყველაზე მწარეც ყოფილიყო. ისე კი, სამუშაოსა და სახლში ყოველთვის სიცოცხლის ბოლომდე ჰქონდა რაღაც განსაკუთრებული მეხსიერება, იყო საოცრად მახვილგონიერი და საზრიანი.

როგორი მეურნე და როგორი პატიოსანი ადამიანი იყო, ამაზე ლაპარაკიც არ ღირს. უყურადღებოდ არაფერი რჩებოდა, ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გათვალისწინებული, შემოივლიდა ყოველთვის აგარაკის ტერიტორიას და შეამოწმებდა ორლოვის მიერ შესრულებულ სამუშაოს, თუმცა შეცდომისთვის არასოდეს დატუქსავდა და მხოლოდ ერთი პატარა ჭიქა „თელიანით“ და „წინანდლით“ დასჯიდა, მაშინ როცა ორლოვი სასმელს საერთოდ არ ეკარებოდა. დაუდგამდა იოსებ ბესარიონის ძე სადილად ერთი პატარა ჭიქით ღვინოს და ეტყოდა:

– აი, ეს იმ შეცდომისთვის! გახსოვს?

და საბრალო კომენდანტსაც ვაჟკაცურად უწევდა იმ „ტანჯვის“ ატანა.

კიდევ ერთი ზღაპარი სტალინის მანიაკური შიშის შესახებ ტერორისტების მიმართ, რომლებიც ვითომ თითოეული ფარდის და დივნის უკან ელანდებოდა, რისთვისაც ბრძანა, ფარდები დაემოკლებინათ და ავეჯი ისე დაედგათ, რომ მათ უკან დამალვა არავის შესძლებოდა. ისე ორლოვმა აგარაკზე ავეჯს მართლაც უცვალა ადგილი, მაგრამ არა ვინმეს შიშის გამო, არამედ იმიტომ, რომ პოლიტბიურო მოხერხებულად ყოფილიყო და კარგად ემუშავა. რაც შეეხება ფარდებს, დარბაზ-კაბინეტში ბატარეები ხის დეკორატიული ცხაურებით იყო დამალული, ამიტომაც იქიდან სითბო კარგად არ გამოდიოდა. გარდა იმ ცხაურებისა, თან ლამაზი ფარდებიც ჰქონდა ჩამოფარებული. სტალინს მობეზრდა ფარდების ყოველთვის მოხსნა და ფანჯრის რაფაზე დალაგება, ამიტომ როგორ სჩვეოდა, ცოტა წაიქილიკა:

– უფროსო, ეს ბატარეები ვის ათბობენ, მაგ ქსოვილს თუ ზალას?

ასე დაამოკლეს ყველა ფარდა და ასე დაუკარგეს იმედი ბოროტმოქმედებს საიმედო სამალავის შესახებ.

* * *

მეორე აგარაკი – სემიონოვსკოე, მოსკოვიდან ასათი კილომეტრით იყო დაშორებული. ოცდაათიან წლებში სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველომ (1922-1934) ეკატერინე მეორის ფავორიტის – გრიგორი ორლოვისა და მისი ძმების ყოფილ ადგილ-მამულში ააშენა ისეთივე ერთსართულიანი სახლი ექვსი ოთახითა და ორი შემინული აივნით. ირგვლივ აქაც ფიჭვის მწვანე ტყე იყო, იყო სამი გუბურა, ხოლო ყველაზე კარგი და ღირსშესანიშნავი – ყინულივით ცივი და ანკარა წყარო. ბუნების ამ სასწაულის თითოეული ჭავლი სრულიად განსხვავებული სიმაღლისა და სილამაზის იყო.

სტალინი „სემიონოვსკოეში“ იშვიათად ჩამოდიოდა, თუმცა, როცა ჩამოვიდოდა, შეეძლო ლამაზად მოჩუხჩუხე, ხუთბინულიანი წყაროს მზერით დამტკბარიყო, ამხანაგებთან ერთად უშველებელი გუბურის შუაში ამოზრდილ კუნძულზე დაესვენა. ერთხელაც მოისურვა, წყაროს წყალი გუბურასთან მიეერთებინათ, მაგრამ გუბურის ბინადარმა თევზებმა ეს რატომღაც ვერ იგუეს და ძალიან დაკნინდნენ. ამის გამო სტალინი ძალიან შეწუხდა და ითხოვა, გამოესწორებინათ შეცდომა. მართლაც, სემიონოვსკოევში მდინარე ლოპასნია მოედინებოდა და წყაროს წყალი ზუსტად იმ მდინარისკენ მიუშვეს.

ომის დროს ეს აგარაკი რაღაც სასწაულად გადარჩა. მახლობლად მდებარე რკინიგზის სადგურებზე – ბარიბინოსა და მიხნევოში შორეულ აღმოსავლეთისგან და ციმბირიდან ჩამოყვანილ იმ ეშელონებს ცლიდნენ, რომლებიც იქიდან წამოყვანილ ჯარისკაცებით იყო სავსე, რის გამოც მტრის ავიაციის გაძლიერებულმა იერიშებმა ძალიან იმატა. თითო-ოროლა ბომბი ქარს აგარაკისკენაც შემოჰქონდა. ტერიტორიისკენ შეუჩერებლივ ნაღმტყორცნებსაც ისროდნენ. ვინაიდან გერმანიის ჯარები უკვე ახლოს იყო, სოლოვოვი იძულებული გახდა, უფროსებისთვის ეკითხა, აგარაკი ხომ არ დაენაღმა, რაზეც ბრძენმა გენერალმა ასე უპასუხა:

– აგარაკს დროზე ადრე თუ ააფეთქებ, დაგხვრეტთ... გერმანელებს ჩააბარებ, გიპოვით და ჩამოგახრჩობთ!... ასე რომ, იმოქმედე ვითარებისდა მიხედვით.

სოლოვოვი მაშინვე სტალინთან გაქანდა. მალე სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარმა, გენერალ ზახარიკინის მეთაურობით, ბრძანება მიიღო, არ დაეტოვებინათ დაკავებული პოზიციები – ასე გადაარჩინეს აგარაკი, რისთვისაც სოლოვოვმა ლაშქრის მეთაურს, ვისაც, მართალია, კუჭის წყლული აწუხებდა, მაგრამ, სავსე ჭიქა სპირტი მაინც მიართვა. ძმები ორლოვების ყოფილ სასახლეში ჰოსპიტალი მოაწყვეს. დაჭრილ მებრძოლებს ოპერაციებს ნავთის ლამპის შუქზე უკეთებდნენ. ტერიტორიაზე ნაღმების ბათქაბუთქი არ წყდებოდა.

სტალინი ისევ ძველებურად ჩამოდიოდა სემიონოვსკოეში. მე უკვე მოგახსენეთ, როგორი უარი განუცხადა ვლასიკს, როცა მან იმ გაცხარებული ბრძოლის დროს თავშესაფარში შესვლა სთხოვა.

რამდენიმე ეპიზოდი სტალინის ცხოვრებიდან

სტალინის ცხოვრებიდან ყველა ის შედარებით ყურადსაღები ამბავი, რის მოწმეც მე გახლდით, უკვე ცნობილია. დარჩა ის ბოლო ეპიზოდები, ისევ რომ იჩინა თავი სტალინის ხასიათში.

მოსკოვიდან დაბრუნებულმა უცებ დაბანა მოინდომა, თეთრეული აიღო და წავიდა. მართალია, აბაზანაში ვინტილები მთელი ძალით ტრიალებდა, მაგრამ წყალი წვეთიც არ იყო, არც ისეთი და არც ასეთი. სტალინი იქიდან გაბრაზებული მოვიდა:

– აბაზანის მიხედვა, მგონი, თქვენ დაგავალეთ!

(გაგრძელება იძნება)

დასაწყისი იხ. № 65-79, 83, 86-87, 90, 95, 99

მშვილდოსნობა

გაზაფხული „ვერცხლით“ გააცილეს

უკვე ვწერდით, რომ საქართველოს მშვილდოსან ქალთა ნაკრებმა ბრიტანულ ნოტინჰემში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ზედიზედ სამ მეტოქეს სძლია და ფინალში გავიდა, იქ კი სამდღიანი შესვენების შემდეგ უკრაინის გუნდს დაუპირისპირდა. გადამწყვეტი პაექრობისას ჩვენმა სამეულმა (ქრისტინე ესებუა, იულია ლობჟანიძე, ხათუნა ნარიმანიძე) სამივე სეტი წააგო (49:52; 52:54; 52:55) მეტოქესთან და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ამის მიუხედავად, ევროპის ჩემპიონატების ფინალში გასვლა ჩვენებისთვის უდიდესი წარმატებაა. აქამდე თუ 18-მეტრიან (დარბაზში) დისტანციაზე იყვნენ ელიტაში, ახლა ოლიმპიურ დისციპლინაშიც (70 მეტრი) დაიწყეს კვარცხლბეკთან გაშინაურება, რაც ოლიმპიადის წინ ოპტიმისტურად განგვაწყობს.

რაც შეეხება ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალს, გუნდურში ის მასპინძელთა მძლეველმა (6:2) გერმანელებმა მოიპოვეს.

გივი გაგუა

ბატუტზე ხტომა

იტალიაში გამგზავრებამდე

თბილისის ტანვარჯიშის სასახლეში დამთავრდა ბატუტზე მხტომელთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც დედაქალაქის, ბათუმის, გორის, ქუთაისის, ხაშურისა და მარნეულის 100-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა. დაძაბული პაექრობების შემდეგ კვარცხლბეკზე ავიდნენ:

სპორტის ოსტატის პროგრამით

ქალები. 1, ნანა გოგაშვილი (52,2), 2. თეონა ჯანჯღავა (51.67), 3. თამარ კაკაშვილი (49.86).

ვაჟები. 1. თენგიზ კოშკაძე (55.66), 2. გიორგი ავლოხაშვილი (48,69), 3. გიორგი ნაცვლიშვილი (ყველა — თბილისი, 47.64).

სპორტის ოსტატობის კანდიდატის პროგრამით

გოგონები. 1. მეგი ფარულუა (91.25), 2. ანანო აფაქიძე (89.57), 3. ნუცა ჭკუასელი (84.63).

ვაჟები. 1. გიორგი ნაცვლიშვილი (88.95), 2. თამაზ ლომსაძე (77.66), 3. ნიკოლოზ შახბაზიანი (ყველა-თბილისი, 74.59).

სინქრონული ხტომები

გოგონები. 1. თამარ კაკაშვილი, ნანა გოგაშვილი (77.6), 2. მეგი ფარულუა, ანანო აფაქიძე (74.1), 3. ნუცა ჭკუასელი, მარიამ ეგაძე (სამივე — თბილისი, 73.0).

ვაჟები. 1. გიორგი ავლოხაშვილი, ლაშა გაბაშვილი (69.0), 2. თამაზ ლომსაძე, ნიკოლოზ შახბაზიანი (ორივე-თბილისი, 65.6), 3. ონისე თვალავაძე, იოსებ სიმსივე (ქუთაისი, 46.9).

17-19 ივნისს იტალიაში მსოფლიოს თასის ეტაპი გაიმართება. იქ საასპარეზოდ ლუბა გოლოვინა, თამარ კაკაშვილი, ნანა გოგაშვილი, თეონა ჯანჯღავა, ანა ოდიშვილი, თენგიზ კოშკაძე (მწვრთნელები — ზაურ სულაშვილი, ლია ხრიკული და ვლადიმირ გოლოვინი, მსაჯი — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი რუსუდან ხოფერია) გაემგზავრებიან. აპენინებიდან ჩვენები შვეიცარიას მიაშურებენ და 23-26 ივნისს იქ მსოფლიოს თასის მომდევნო ეტაპზე გამოვლენ. რიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიატ ლუბა გოლოვინას ეს შეჯიბრებები გამოცდილების შესაძენად და ოსტატობის ასამაღლებლად წაადგება.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები.

უცხო ხილი

ესეც პირველი გამარჯვება!

ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში დაიწყო მსოფლიოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი 3x3 კალათბურთში, სადაც საქართველოს ნაკრებმა სადებიუტო მატჩში თურქეთი დაამარცხა.

დავით აფხაზავას, ნიკა დარბაიძის, გიორგი კორსანტიასა და ნიკა ლოლიშვილის შემადგენლობით მოთამაშე საქართველოს გუნდმა თანაბარი შეხვედრის ბოლოს დამაჯერებელი უპირატესობა მოიპოვა და 15:11 გაიმარჯვა. ქართველებმა მეტოქეს ფარქვეშ ბრძოლასა და სროლათა პროცენტულობაში აჯობეს. მოედანზე გამოსულმა ოთხივე კალათბურთელმა წარმატებისთვის საკუთარი, სოლიდური წილი გაიღო.

ქართველთა მომდევნო მეტოქე ანდორაა, რომელმაც არგენტინასთან წააგო.

კობა კობახიძე

კალათბურთი

შენგელიას „ლაბორალ კუჩა“ ნახევარფინალში გავიდა

თორნიკე შენგელიას „ლაბორალ კუჩამ“ „გრან კანარიასთან“ მეოთხედფინალური სერიის გადამწყვეტ მე-3 მატჩში 78:71 იმარჯვა და ესპანეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში გააღწია.

გასულ შეხვედრას ქართველი კალათბურთელის კლუბმა უმასპინძლა, შენგელიამ კი მოედანზე 6 წუთი გაატარა და 5 ქულასთან ერთად 2 პასი მიითვალა.

„თოკომ“ 3-დან 1 ორქულიანი და 3-ვე საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა, ბურთი ერთხელ დაკარგა, 1 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 2-ჯერ დაჯარიმდნენ.

„ლაბორალ კუჩას“ რიგებში საუკეთესო ბერძენი იოანის ბურუსისი იყო, რომელმაც ორმაგი დუბლი (17 ქულა, 11 მოხსნა) შეასრულა.

ამერიკელმა მაიკ ჯეისმა, რომელიც უახლოეს პერიოდში, სავარაუდოდ, საქართველოს ნაკრების მაისურს მოირგებს, 20 წუთში 10 ქულა, 2 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა.

ნახევარფინალურ სერიაში „ლაბორალ კუჩას“ მეტოქე „ბარსელონა“ იქნება და ამ შემთხვევაში მოედნის უპირატესობა უკვე კატალონიელთა მხარეს იქნება.

ნახევარფინალი სამ მოგებამდე გაგრძელდება, განრიგი კი ასეთია: 3 და 5 ივნისს ბრძოლებს „ბარსელონა“ უმასპინძლებს, 8 და 10-ში — „ლაბორალ კუჩა“, 12 ივნისს კი მე-5 შეხვედრა ისევ კატალონიაშია დანიშნული. ცხადია, ბოლო 2 მატჩი მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში შედგება.

ვიტალი ჯაფარიძე

თაობა

არის ასეთი რეცეპტი!

რამდენიმე წლის წინათ რომან ფიფია დარწმუნდა, რომ არაფრით გამორჩეულ უცხოელ ლეგიონერთა მოწვევა ფულის უაზრო ფლანგვა იყო და აქცენტი ქართული ფეხბურთის ბალავარზე — მომავალი თაობის დაოსტატებაზე გააკეთა.

ამ მიზნით თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტმა საფუძველი ჩაუყარა ჩვენი სახელოვანი კლუბის ბავშვთა აკადემიას, რომელსაც ლეგენდარული ვიტალი დარასელიას სახელი მიეკუთვნა.

განვლილმა პერიოდმა დაადასტურა ამ არჩევანის მართებულობა: „თეთრ-ლურჯები“ ადგილობრივი კონტიგენტითაც აღწევენ ლოკალურ წარმატებებს საშინაო სარბიელზე (აბა, ევროტურნირებზე ძველი დიდების დაბრუნებაზე ჯერ როგორ ვიოცნებებთ) და, რაც მთავარია, უკვე მათი უმცროსი თანაგუნდელებიც არ უდებენ ტოლს საზღვარგარეთელ თანატოლებს.

საილუსტრაციოდ ამ დღეებში 2000 წელს დაბადებულთა შორის გამართული დიუსელდორფის გმირის პირველი მემორიალი გამოდგება, რომელმაც საერთაშორისო სტატუსი შეიძინა და, დარწმუნებულნი ვართ, არაერთ ვარსკვლავს დაულოცავს გზას დიდ ფეხბურთში.

ფინალი. „დინამო“ (თბილისი) — „ალკმაარი“ (ჰოლანდი) 0:2.

დავძენთ, რომ მასპინძელთა მთავარი მწვრთნელია ვლადიმერ გოჩაშვილი, ხოლო რვაგუნდიანი ტურნირის მესამე პრიზიორი თურქული „ტრაბზონსფორი“ გახდა.

გიორგი შოთაძე

ფეხბურთი

კასილიასი ასე ფიქრობს



ესპანეთის ეროვნული ნაკრების და „პორტუს“ მეკარემ იკერ კასილიასმა „ფურია როხას“ ყველა დროის საუკეთესო ნაკრები დაასახელა. აღსანიშნავია, რომ იკერმა თავისი თავი სიმბოლურ გუნდში არ შეიყვანა და ნაკრების ყველა დროის საუკეთესო გოლკიპერად ლუის არკონადა დაასახელა.

კასილიასის ვერსიით, ესპანეთის ნაკრების საუკეთესო შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურება: **არკონადა — რამოსი, პუიოლი, პიკე, კამაჩო — ჩავი, იერო, ბუსკეტსი, ინიესტა — რაული, ვილია.**

თავად იკერს ევროპის ჩემპიონატი ორჯერ, ხოლო „მუნდიალი“ ერთხელ აქვს მოგებული. ნაკრების 35 წლის კაპიტანი 2016 წლის ევროპის ჩემპიონატზეც იასპარეზებს.

ბადრი იაშვილი

ინტერნეტიდან

ვანდა ნარა ტკივილებს უმკლავდება

ვისაც ფეხბურთის „გვერდით“ არსებული ამბები აინტერესებს და ცნობილ მობურთალთა ცოლებისთვისაც შეუვლია მზერა, აბა ისე როგორ იქნებოდა, რომ არ იცოდეს თუ ვინაა არგენტინელი შემტევის მაურო იკარდის პოპულარული და გადარეული ცოლი, არგენტინელივე მოდელი ვანდა ნარა.

მის ეპატაჟურობასა და სიკისკასეზე ჩვენ ადრეც არაერთხელ გვიწერია და რამე რომ იყოს, არც სხვა დროს დავიზარებთ დაწერას, თუმცა, ამჟამად ვანდას პრობლემა უნდა გამცნოთ. თურმე ნუ იტყვით და იკარდის ცოლს ბოლო ერთი წელია ზურგის ქრონიკული ტკივილები აწუხებდა და მიუხედავად ამ ტკივილებისა, იგი მაინც თავპატიჟდაუდებლად იდგა პოდიუმზე.

ამჟამად ვანდა ნარა სარეაბილიტაციო კურსს გადის და საბოლოო ჯამში თავადაც აღიარებს, რომ ქრონიკული ტკივილების დამალვა მისი მხრიდან არასწორი იყო. თუმცა, ახლა რაღა დროს აღიარებაა? ნეტა რატომ ტკივა ზურგი? სახლის საძირკვლის „აპალოვკის“ ჩასასხმელად „რასტვორი“ რომ არ მოურევია — ცხადია...

როსტომ რმაჭველიშვილი

◎ ენა ჩვენი, ქართული

როგორი შეიძლება იყოს ხელშეწყობა?

კარგა ხნის წინათ ერთმა ჩვენმა სოლიდურმა გაზეთმა გადმოაქართულა და დაბეჭდა „ნეზავისიმაია გაზეტაში“ გამოქვეყნებული მასალა, რომელშიც იყო ასეთი წინადადება: „...ССК также обратилась к сторонам с призывом начать разработку концепции зоны наибольшего экономитческого благоприятствования“. თარგმანი ასეთი გამოვიდა: „შერეულმა საკონტროლო კომისიამ ასევე მოუწოდა მხარეებს, დაიწყონ **უპირატესი ეკონომიკური კეთილდღეობის** ზონის კონცეფციის შემუშავება“.

აქ ორი შეცდომაა. ერთი, ალბათ, უნებლიე: მთარგმნელს „благоприятствование“ აღუქვამს როგორც „благоденствие“ ან „благополучие“ და „კეთილდღეობად“ გადმოუქართულებია, მეორე კი გამოწვეულია ჩვენი შემთხვევისათვის შეუფერებელი **უპირატესი** სიტყვის ხშირი ხმარების გავლენით. აი, სწორედ ამაზე გვექნება ახლა საუბარი.

დიდი ხნის წინათ საქართველოსა და ევროპის ქვეყნებს შორის დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტში წერია: „მხარეები მიანიჭებენ ერთმანეთს ყველა სფეროში **უპირატესი** ხელშეწყობის რეჟიმს...“ არის კი საერთოდ ეკონომიკურ ურთიერთობასა და კერძოდ ვაჭრობაში ასეთი რეჟიმი?

სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, გავეცნოთ ინგლისურიდან რუსულის მეშვეობით შემოსული ამ გამოთქმის მონაწილეობით შედგენილ წინადადებას: ...„Администрация США заверила... в том, что намерена внести в Конгресс предложение об отмене в отношении Алма-Аты поправки Джексона-Вэнника и придании смране статуса наибольшего благоприятствования в торговле с США, что означает также и доступ к высоким технологиам“.

როგორ უნდა გადმოვცეთ იგი ქართულად?

ამ კითხვაზე პასუხს გაგვაცემინებს ქართული ენციკლოპედია, რომლის მე-10 ტომის 148-ე გვერდზე ნათქვამია, რომ **უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი** არის „საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოთა ეკონომიკური, მათ შორის (აჯობებდა: **კერძოდ. — ავტ.**) სავაჭრო ურთიერთობების მოწესრიგების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომლის თანახმადაც ხელშეკრულების დამდები მხარეები ერთმანეთს ანიჭებენ ისეთსავე ხელსაყრელ პირობებს (**უფლებებს, უპირატესობას, პრივილეგიებსა და შეღავათებს**), როგორიც მათ უკვე მიანიჭეს ან როგორსაც მომავალში მიანიჭებენ რომელიმე მესამე სახელმწიფოს“...

როგორც ვხედავთ, **უპირატესობა** (სხვათა შორის, **უმეტეს** კატეგორიას, სამწუხაროდ, გამოუჩნდა კიდევ ერთი მოცილე ფორმა: **საუკეთესო** — ბოლო წლებში გამოცემულ ერთ საგულისხმო და საარგებლო ტერმინოლოგიაში) ამ რეჟიმის ერთ-ერთი შემადგენელი პირობა ყოფილა და ამიტომ ჩვენთვის საინტერესო ფორმულა, ვთქვათ, ინგლისთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებაში დაახლოებით ასე უნდა გამოიხატოს: „საქართველო და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული (და არა გაერთიანებული!) სამეფო ერთმანეთს მიანიჭებენ ვაჭრობაში **უმეტესი ხელშეწყობის** რეჟიმს“.

ამ მოსაზრების მართებულობას გვიდასტურებს „იურიდიული ტერმინოლოგიაც“, სადაც ნათქვამია: „наиболее благоприятствуемая нация“ უმეტესად ხელშეწყობილი ერი; „наибольшее благоприятствование უმეტესი ხელშეწყობა“.

მაშასადამე, უნდა ვწეროთ არა უპირატესი, არა უკეთესი, ან საუკეთესო, არამედ **უმეტესი ხელშეწყობის** რეჟიმი (სტატუსი, პრინციპი). მხოლოდ ასე!

ოთარ კაპანაძე

◎ დანაშაული და სასჯელი

„რეესტრ-კადასტრის“ დირექტორები დააკავეს!

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენებით, სახელმწიფოს კუთვნილი, დიდი ოდენობით მიწის ნაკვეთის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, შპს „რეესტრ-კადასტრის“ დირექტორები ინგა ჩიქოვანი და დალი კობერიძე დააკავა.

გამოძიების მიერ დადგენილია, რომ ბრალდებულებმა, თანამზრახველთა დახმარებით დაამზადეს ყალბი ოფიციალური დოკუმენტები და თაღლითურად დაეუფლნენ ქალაქ თბილისში, აღმაშენებლის ხეივანში მდებარე სახელმწიფოს კუთვნილ მიწის ნაკვეთს, რომლის ღირებულება ექსპერტის დასკვნის თანახმად შეადგენს 1 000 000 ლარს.

მკვლელს თერთმეტი წლით პატიმრობა მიუსაჯეს

ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებული ზაზა ლორია დამნაშავედ სცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, სასამართლოში ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა, რომ 2015 წლის 17 სექტემბერს, ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩა №44-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ზაზა ლორიამ განზრახ მოკვლის მიზნით, რევაზ გურგენიძეს მიაყენა შემავალი ჭრილობა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიყენებული დაზიანებების შედეგად რევაზ გურგენიძე, გაწეული სამედიცინო დახმარების მიუხედავად, ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ზაზა ლორია ბრალდებულის სახით 18 სექტემბერს დააკავეს.

მოსამართლემ ზაზა ლორიას ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის სახედ და ზომად 11 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

„ტარასას“ საზღვარგარეთ უმკურნალებენ!

გავრცელებული ინფორმაციით, ე.წ. კანონიერ ქურდს, ტარიელ ფოცხვერიას (ტარასა), რომელიც ამჟამად პატიმრობაში იმყოფება, სამკურნალოდ საზღვარგარეთ წაიყვანენ. გადაწყვეტილება სასამართლომ მიიღო. სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ტარიელ ფოცხვერია არის მძიმე ავადმყოფი, რომლის შესაბამისი მკურნალობა საქართველოში ვერ მოხდებოდა. ფოცხვერიას სასჯელი გადაუვადდა და უცხოეთში ის რამდენიმე დღეში გაემგზავრება.

შეგახსენებთ, რომ ტარიელ ფოცხვერიას ბრალად ედება კანონიერი ქურდობა. იგი 2012 წელს ამნისტიის საფუძველზე გაათავისუფლეს, თუმცა მალევე ისევ დააკავეს. მისი დაპატიმრება კლინიკაში მოხდა. მას ბრალად ქურდული სამყაროს წევრობა, კერძოდ, ე.წ. „სხადნიაკის“ ორგანიზება და მითითებების გაცემა დაედო. ფოცხვერია სიმსივნითაა დაავადებული და ის სასჯელს მარდალეიშვილის სახელობის კლინიკაში იხდიდა.

რეკლამა
293-37-87
599 797679
მაჩაბლის ქ. №7.

იური ოსიპოვი, ვლადიმერ ბენიაშვილი, გურამ ჯაიანი, გივი ცაგარელი, არჩილ გოგელია, როლანდ გილიგაშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მეგობრის

ნოდარ ტრაპაიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ზუგდიდში საკონსერვო ქარხანას ააშენებენ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ“ პირობიან ელექტრონულ აუქციონზე გასაყიდად გამოიტანა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელი ჭითაწყარში მდებარე 249 999 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1-№11 შენობა-ნაგებობა. უძრავი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 1 504 500 ლარს.

აუქციონის პირობების მიხედვით, აღნიშნულ ქონებაზე ინვესტორმა უნდა უზრუნველყოს საკონსერვო ქარხნის აშენება, ექსპლუატაციაში მიღება, აღჭურვა და ფუნქციონირების დაწყება. პროექტის საინვესტიციო ღირებულება არანაკლებ 29 000 000 აშშ დოლარით განისაზღვრა. საკონსერვო ქარხანაში ასევე გათვალისწინებულია 450 სამუშაო ადგილის შექმნა.

განცხადება

ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, ორი ათას ხუთი წლის ექვს იანვარს გარდაცვლილი ქალბატონის რუდსკიხ კლარა ვლადიმერის ასულის მიმართ, გთხოვთ, დაინტერესებულ პირებს მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა.

ნოტარიუსი ვალიდა ნინიძე

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს შპს „რეგიონ ლოჯისტიკის“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება
შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „რეგიონ ლოჯისტიკი“ (ს/კ 404917603), მის: თბილისი, გაგარინის I შესახვევი №1, ბინა №15;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. თბილისი, გლდანის საცხოვრებელი რაიონი, I კვარტლის მიმდებარედ (ნაკვეთი №1/51) (საკადასტრო კოდი: 01.11.13.001.051). შენობა-ნაგებობა №1-დან კომერციული ფართი 607კვ.მ. (II სართული), კომერციული ფართი 425კვ.მ. (I სართული), საზაფხულო ფართი 300.80კვ.მ. მის წილ მიწის ნაკვეთთან ერთად.

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 200 000 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ შეადგენს 30508 ლარს);

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 20 ივნისი, 11:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** შპს „ახალშენი 2005“ (ს/კ 202292642), მის: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №55, კორპუსი №1, ბინა 124;

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 20 ივნისის 11:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ ლექსი – იერიშზე!

ეროვნებაწაშლილი

მწვერვალზე ვარ და ზემოდან გადავყურებ ბილიკებს,
ქვევით წყარო კლდეს ლოკავს და ენასაც ალიკლიკებს:
მთები ტანჯავარიანი და მათ შორის ტაშირი,
ერთ დროს მზე-მზეჩახვეული,
სუფრასავით გაშლილი,
მხართეძოზე მიწოლილა,
როგორც მეკვლე გზაშლილი,
თავზე ადგას ანბანთქება – ეროვნებაწაშლილი.

ღმერთო, ღმერთო, რად არ მომკალ,
სხვა ქარისგან მხარშლილი,
სანამ ვნახე საქართველო –
უფლის
კვართის
მქონე მხარე,
ფედერიკოს ძროხასავით...
და სახორცე ფერმასავით
ყელგამოჭრილ-დაშლილი!..

რუსუდან ჯინჯიხაძე

მწვანე ტბა - ტურისტთა ინტერესის სფერო

10 ადგილიდან ერთ-ერთი, რომელიც აჭარაში ჩასულმა ტურისტმა აუცილებლად უნდა ნახოს, მწვანე ტბაა. მწვანე ტბა ზემო აჭარაში, გოდერძის უღელტეხილთან ახლოს, არსიანის ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს. ტბაზე წასვლა გვიან გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომის პირველ ნახევარშია შესაძლებელი. ზამთარში ტბასთან მისვლა შეუძლებელია, თოვლის მაღალი საფარის გამო. მწვანე ტბა განსაკუთრებით ლამაზია შემოდგომაზე.

როგორც აჭარის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში აცხადებენ, ტურისტებში მწვანე ტბისადმი ინტერესი მზარდია. მწვანე ტბით უმეტესად ადგილობრივი ტურისტები ინტერესდებიან.

ბათუმიდან მწვანე ტბასთან პირდაპირი ტრანსპორტი დანიშნული არ დადის, თუმცა, მაღალი განვლადობის ავტომობილების დაქირავება ადგილზე შესაძლებელია.

ტურიტს ასევე შეუძლია ბათუმიდან მიკროავტობუსის საშუალებით ხულოს ცენტრში ავიდეს და ამის შემდეგ დაიქირაოს მაღალი განვლადობის ავტომობილი, რაც მის ხარჯებს უფრო შეამცირებს. ბათუმიდან ხულოს მიმართულებით ტრანსპორტი ყოველ 1 საათში გადის და მგზავრობის ღირებულება 5 ლარია.

ხულოში ასულ ტურისტს კი დეტალურ ინფორმაციას უკვე ხულოს ტურისტულ საინფორმაციო ცენტრში მიაწოდებენ. სწორედ აქ მიიღებს ტურისტი ინფორმაციას, თუ სად და ვისგან დაიქირაოს ტრანსპორტი და ასევე შეძლებს, მიიღოს ინფორმაცია მწვანე ტბის მიმდებარედ ღამისთევის ადგილების შესახებაც, რაც სოფელ დანისპარაულშია შესაძლებელი და იქ დარჩენა ერთი დღით (3 ჯერადი კვებით) 30-40 ლარია.

აღსანიშნავია, რომ ტბის სანაპიროზე წყლის დონე დაბალია, მაგრამ სიღრმეში ტბის ფსკერი ერთბაშად ღრმავდება და მისი სიღრმე 17 მეტრზე მეტსაც კი აღწევს.

ტბა უზარმაზარ მთებს შორისაა მოქცეული და ნაძვნარითა და წიფლნარითაა შემოსაზღვრული. მშვენიერ ტბას მიწისქვეშა წყაროები ასაზრდოებენ.

„ქართული ხმები“ დუბლინში

ირლანდიაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ირლანდიის ეროვნულ საკონცერტო დარბაზში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი და საზეიმო მიღება გაიმართა.

კონცერტზე მაყურებლის წინაშე „ქართული ხმები“, ცნობილი ირლანდიელი მომღერალი ჯეკ ლუკმანი და ირლანდიაში მოქმედი ქართული ხალხური სიმღერების ბავშვთა ანსამბლი „Mixed Melodies“ წარსდგა. მაყურებლის განსაკუთრებული დაინტერესება „ქართული ხმების“ მიერ შესრულებულმა ქართულმა ხალხურმა სიმღერებმა გამოიწვია.

ღონისძიების ფარგლებში ასევე მოეწყო საქართველოს ბუნების, კულტურის, სხვადასხვა ქალაქებისა და ღირსშესანიშნაობების ამსახველი ფოტო-გამოფენა.

კონცერტის დასრულების შემდეგ გაიმართა ოფიციალური მიღება, სადაც სტუმრებმა დააგემოვნეს ქართული ღვინო და კერძები. კონცერტსა და სადღესასწაულო მიღებას 200-ზე მეტი სტუმარი დაესწრო, მათ შორის იყვნენ ირლანდიის მთავრობისა და პარლამენტის, ბიზნესის, კულტურის, პრესის და სამეცნიერო წრეების, ასევე ირლანდიაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

გიორგი ისაკაძემ ზურაბ ნაყეურს 3000 ლარის დამატება მოსთხოვა!

„მაესტროს“ ახალი მენეჯმენტი შპს „სტუდის მაესტროს“ გენერალურ დირექტორ ზურაბ ნაყეურისადმი გიორგი ისაკაძის მიერ მიწერილ წერილს ასაჯაროებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„ბატონო ზურაბ, მოგახსენებთ, რომ 2014 წელს თქვენს წინამორბედთან და კომპანიის დამფუძნებლებთან (მაკა ასათიანის მხარე) მქონდა ზეპირი მოლაპარაკება-შეთანხმება, რომ მას შემდეგ, რაც პირადად გავუძღვებოდი ეთერში(გადაცემის წამყვანი) ახალ ბიზნეს-გადაცემას პარასკევს, დამოუკიდებელი პროექტის „ანალიტიკას“ სახით, მოხდებოდა ჩემი ანაზღაურების(დღეის მდგომარეობით 5000 ლარი ხელზე) გადახედვა. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიყავით ჩამოყალიბებული ან შეთანხმებული კონკრეტულ თანხაზე ანაზღაურებისთვის.

ჩვენი ბოლო შეხვედრიდან გამომდინარე გაცნობებთ ჩემს პოზიციას აღნიშნულ თემაზე:

გთხოვთ, განვლილი საანგარიშო პერიოდი(სახელფასი სარგო), ანუ მას შემდეგ, რაც ეთერში ვარ (2014 წლის 2 ოქტომბერი) ვიდრე დღემდე დააკორექტიროთ თვეში 3000(ნეტ) ლარის დამატების უზრუნველყოფით.

შესაბამისად, პირადად ჩემი ანაზღაურება, როგორც პროექტების ავტორის, მენეჯერის და წამყვანის, დაკორექტირდეს 8000 ლარზე.

გთხოვთ, მოახდინოთ სხვაობის ანაზღაურება. ოქტომბრიდან მოყოლებული, გარდა შეთანხმებული პროექტის წამყვანობისა(ბიზნესკონტაქტი, „ანალიტიკა“), ასევე ვუძღვები პარასკევის „საქმიანი დილას“ ეთერს.

ვსარგებლობ შემთხვევით და მოგახსენებთ, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, თუ ჩვენს შორის ვერ მოხერხდა შეთანხმება აუტსორსის პრინციპით საქმიან თანამშრომლობაზე ჩემს საავტორო გადაცემებთან დაკავშირებით, მზად ვარ, შემდგომი მოხსენებითი ბარათით მოგმართოთ ინფორმაციის მიღების და საქმიანი სტატუსის დადასტურებისთანავე...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ორი ქერათმიანი დაქალი სეირნობს:

– უი, დედიკო, ქოლგა დავკარგე დღესაც! – უცბად წამოიძახებს ერთი.

– აფსუს! – შეიცხადებს მეორე. – და როდის გაიგე, რომ დაკარგე?

– როდის და დახურვა რომ დავაპირე!

* * *

სკოლიდან შინ დაბრუნებული ძაღლის ლეკვი დედას უყვება:

– დღეს უცხო ენის გაკვეთილზე სალაპარაკო ენას ვსწავლობდით.

– რა საინტერესოა! მაინც რა ისწავლეთ?

– რა ვისწავლეთ და „მიაუს“ წარმოთქმა.

* * *

– **მართალია**, რომ სიმონიკა დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს?

– მართალია.

– უყურე შენ მაგ მატყუარას! მე კი მომწერა, რომ ორი წლით ძმასთან წავიდა:

– ნუ გეშინია, არ მოუტყუებიხარ? მაგის ძმა გაცილებით ადრე ჩასვეს!..

* * *

თქვენი მობილური კავშირგაბმულობის ახალი სერვისი: „ძვირფასო მომხმარებელო, აბონენტი, რომელსაც თქვენ ურეკავთ, ამჟამად სხვას ესაუბრება. თუ შეიძლება, დარჩით ხაზზე, თქვენ პირველივე გათავისუფლებული აბონენტი გიპასუხებთ. გმადლობთ!“

* * *

– **ძვირფასო**, რატომაა, რომ ეს მამაკაცი ასე დაჟინებით მიყურებს? მე მას პირველად ვხედავ, გეფიცები, ვინ არის ის? გემუდარები, ოღონდ არ იეჭვიანო...

– სულაც არ ვეჭვიანობ, იმიტომ რომ ის კაცი... ფსიქიატრია, ჩემო კარგო!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.147; ევრო - 2.392;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.138;
100 რუბლი - 3.256; თურქული ლირა - 0.728;
აზერბაიჯანული მანათი - 1.445;
1000 სომხური დრამი - 5.493

ამინდი 2 ივნისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +11, დღე +28
მთიანი რაიონები - ღამე +6, დღე +23
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +12, დღე +26
მთიანი რაიონები - ღამე +9, დღე +22
თბილისი: ღამე +17, დღე +27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE